

ელგუჯა შუბლაძე

ბრალდებულის ნების საწინააღმდეგოდ მოპოვებული
მტკიცებულებები

წარმოდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
თბილისი, 0178, საქართველო
2020 წელი

საავტორო უფლება © 2020 წელი, ელგუჯა შუბლაძე

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ავტორი ადასტურებს, რომ სამაგისტრო ნაშრომი მომზადებულია მის მიერ, ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალა ციტირებულია ისე, როგორც ეს მიღებულია აკადემიური ნაშრომების შესრულებისას და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

სამაგისტრო ნაშრომის არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლებას ავტორი ანიჭებს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა: ელგუჯა შუბლაძე

თარიღი : 21.08.2020

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ვადასტურებ, რომ გავეცანი შუბლაძე ელგუჯას მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: „ბრალდებულის ნების საწინააღმდეგოდ მოპოვებული მტკიცებულებები“ და ვაძლევთ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დასკვნითი გამოცდის/სამაგისტრო ნაშრომის დაცვის სპეციალური კომისიაში მის განხილვას სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ბესიკ მეურმიშვილი

თარიღი : 28.08.2020

ანოტაცია

წარმოდგენილი ნაშრომი მიზნად ისახავს ისეთი აქტუალური საკითხების ანალიზს, როგორცაა ბრალდებულზე განხორციელებული იძულებითი ღონისძიებების კანონიერება და ამ ღონისძიებათა შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების დასაშვებობა/გამოყენებადობა. ნაშრომი პასუხობს ისეთ კითხვებს, როგორცაა: დასაშვებია თუ არა ბრალდებულის უფლებებში ჩარევა და მისი იძულება, მიაწოდოს სახელმწიფო ორგანოებს ისეთი ინფორმაცია, რომელიც ხელს შეუწყობს მის მსჯავრდებას. ასევე კითხვას, როდის და რა დონეზე შეიძლება პირის უფლებებში ჩარევა, მიუხედავად მისი ნებისა, როდის აქვს პირს ვალდებულება ითმინოს სახელმწიფო ორგანოების მხრიდან ასეთი ჩარევა, და რომელი კონკრეტული უფლებები იზღუდება სახელმწიფოს მხრიდან, ბრალდებულის ნების საწინააღმდეგოდ მისგან მტკიცებულებების მოპოვებისას.

ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე, სხვადასხვა ლიტერატურისა და სტატიების გარდა, მრავლად არის გამოყენებული მეტწილად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სასამართლო პრაქტიკა, ეს განპირობებულია იმით, რომ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები წარმოადგენს სამართლის მნიშვნელოვან წყაროს, რომელთა საშუალებითაც თავად სასამართლო ახდენს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებულ უფლებათა განმარტებას, ხსენებული კონვენცია კი საქართველოს, როგორც კონვენციის ხელშემკვრელი მხარის საკანონმდებლო სისტემაში იერარქიულად კანონზე მაღლა დგას.

Annotation

The present paper aims to analyze such topical issues as the legality of the coercive measures taken against the accused and the admissibility/applicability of the evidence obtained as a result of such measures. The paper aims to answer questions such as: is an interference in the rights of an accused permissible and is it permissible, to force an accused provide state authorities with the information that

would facilitate his conviction. Present work also provides an answer to the question, to what extent the rights of a person may be interfered with, regardless of his will, and when does a person have an obligation to endure such interferences from the state authorities and which specific rights are restricted by the state in obtaining such evidence against him, while ignoring the will of an accused.

For the purposes of this work, in addition to various literature and articles, the case law of the European Court of Human Rights is widely used. This is due to the fact that the judgements made by the European Court are an important source of law, through which the Court itself interprets the rights enshrined in the European Convention on Human rights, and its worth noting that the abovementioned convention is hierarchically above the law in the legislative system of Georgia, as a Contracting Party to the Convention.

სარჩევი

შესავალი.....	7-8
თავი I	
1. ბრალდებულის ნების საწინააღმდეგოდ მოპოვებული მტკიცებულებების არსი და ბუნება.....	9-13
1.1 ბრალდებულის რელევანტური უფლებების ზოგადი მიმოხილვა.....	13-14
1.2 საქმის სამართლიანი განხილვის უფლება.....	14-18
1.2.1 თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია.....	18-22
1.2.2 უდანაშაულობის პრეზუმფცია.....	22-26
თავი II	
2. ბრალდებულის სხვა რელევანტური უფლებები და მათი როლი ბრალდებულისგან მტკიცებულების მოპოვების საკითხში..	26-27
2.1 წამების აკრძალვა.....	27-30
2.2 პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება.....	30-34
თავი III	
3. მტკიცებულებები, მათი ადგილი და მნიშვნელობა სისხლის სამართლის პროცესში.....	35-37

3.1 დაუშვებელი მტკიცებულებები და მათი შეფასება.....	37-40
3.2 ბრალდებულის ნების საწინააღმდეგოდ მტკიცებულებების მოპოვება და მათი გამოყენება.....	40-41
თავი IV საპროცესო და სხვა საგამომიებო მოქმედებები	
4.1 ბრალდებულისგან მოპოვებული ინფორმაცია და საქართველოს სსსკ-ის 247-ე მუხლის ანალიზი.....	42-44
4.2 ნიმუშის აღება და საქართველოს სსსკ-ის 121-ე და 147-ე მუხლების ანალიზი.....	44-46
თავი V სასამართლო , საგამომიებო და საპროცესო მოქმედებათა პრაქტიკა	
5.1 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები.....	47-55
5.2 ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლო, საგამომიებო და საპროცესო მოქმედებათა პრაქტიკა.....	55-59
დასკვნა.....	60-62
ბიბლიოგრაფია.....	62-65

შესავალი

მტკიცებულებებს სისხლის სამართლის პროცესში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავიათ. ხსენებული მაღალი მნიშვნელობა განსაკუთრებით მატულობს მაშინ, როდესაც საქმე გვაქვს ისეთ არაინკვიზიციურ პროცესთან, როგორც თუნდაც ქართულია, ვინაიდან მთლიანად პროცესში მონაწილე მხარეებზეა დამოკიდებული, თუ რა წარედგინება სასამართლოს შესაფასებლად.

აღსანიშნავია, რომ მტკიცებულებამ გარკვეული „გზა“ უნდა გაიაროს, სანამ იგი მის მტკიცებულებით მნიშვნელობასა და ძალას შეიძენს, რაც ქართულ სისხლის სამართლის პროცესში სსსკ-ის 72-ე მუხლის „ბარიერის“ გადალახვას გულისხმობს.

ზემოხსენებული „ბარიერის“ გადალახვის პრობლემა განსაკუთრებით იჩენს თავს მაშინ, როდესაც საქმე გვაქვს ბრალდებულის ნების საწინააღმდეგოდ მოპოვებულ მტკიცებულებებთან. ასეთი შემთხვევები ინდივიდუალურ და განსაკუთრებული სკრუპულოზურობით შეფასებას საჭიროებს. გარდა იმისა, რომ მტკიცებულებების მოპოვება-წარდგენის საკითხი მნიშვნელოვანია სასამართლო სამართალწარმოებისთვის ადგილობრივ დონეზე, განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო მაშინ, როდესაც საქმე გვაქვს ისეთ შემთხვევებთან, როგორცაა იძულებით ნიმუშის აღება, მოტყუებით ინფორმაციის მიღება და სხვა მსგავსი, ვინაიდან ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვა, მათი ფაქტიური ბუნებიდან გამომდინარე, ძალიან მარტივია და, რა თქმა უნდა, უკანონო შეზღუდვა - დაუშვებელი.

ბრალდებულის ნების საწინააღმდეგოდ მოპოვებული მტკიცებულებების პრობლემურობაზე მიუთითებს ისიც, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკა, როგორც წესი, მიუთითებს არა მხოლოდ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის - საქმის სამართლიანი განხილვის უფლების დარღვევაზე, არამედ ისეთი მუხლების დარღვევაზეც, როგორებიცაა: მე-3 მუხლი - წამების აკრძალვა და მე-8 მუხლი - პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება.

აღსანიშნავია, რომ თავად სისხლის სამართლის პროცესი ბრალდებულის ნების საწინააღმდეგოდ მიმდინარეობს, ბრალდებულის ნების საწინააღმდეგოდ მოპოვებული მტკიცებულებები გულისხმობს, მტკიცებულებების ისეთი საშუალებებით მოპოვებას, რომლებიც არღვევენ ბრალდებულისთვის მინიჭებულ სხვადასხვა ფუნდამენტურ უფლებებს, რამაც მარტივად შეიძლება გამოიწვიოს ჯაჭვური რეაქცია და მთლიანად სასამართლო პროცესის სამართლიანობა დააყენოს კითხვის ნიშნის ქვეშ.

ნაშრომში განხილულ საკითხთა აქტუალურობას იწვევს როგორც თავად მათი მნიშვნელოვანი ბუნება, ასევე მათ გარშემო არსებული მრავალი

პასუხგაუცემელი კითხვა, განსხვავებული მიდგომები, გარკვეულწილად ბუნდოვანი პრაქტიკა და სხვადასხვა შემთხვევათა ინდივიდუალურად შეფასების საჭიროება.

ნაშრომი მიზნად ისახავს ადგილობრივი და საერთაშორისო კანონმდებლობისა და რელევანტური სასამართლო პრაქტიკის ანალიზს, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდება ისეთ კითხვებზე პასუხის გაცემა, როგორებიცაა: 1) აქვს თუ არა და როდის, ბრალდებულის ნების საწინააღმდეგოდ მტკიცებულების მოპოვებისას, ადგილი თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგიის შეზღუდვას? 2) რა შემთხვევებშია დასაშვები იძულებით ნიმუშის აღება და სად გადის ზღვარი, ამ საკითხთან მიმართებაში, კანონიერ და უკანონო ქმედებებს შორის? 3) შესაძლებელია თუ არა ბრალდებულის მიერ, მისთვის მისი უფლებების განმარტების გარეშე, მიწოდებული ინფორმაციის მის წინააღმდეგ გამოყენება? - სწორედ ამ და სხვა კითხვებზე პასუხის გაცემას შეეცდება ნაშრომი. გარკვეული საკითხების სიღრმისეულად შესწავლის მიზნით გამოყენებული იქნება შედარებით-სამართლებრივი, ანალიტიკური, ლოგიკური და სისტემური კვლევის მეთოდები, რაც საბოლოო ჯამში, ნაშრომში განხილული საკითხების სამართლებრივ ასპექტებთან დაკავშირებით მკითხველს შეუქმნის სრულ სურათს.

თავი I

ბრალდებულის ნების საწინააღმდეგოდ მოპოვებული მტკიცებულებების არსი და ბუნება

თანამედროვე სისხლის სამართლის პროცესში მტკიცებულებებს განსაკუთრებული ადგილი უკავიათ. ისტორიას თუ გადავხედავთ, დროის მსვლელობასთან ერთად, დაიხვეწა სასამართლო პროცესი, სახელმწიფოთა დიდ ნაწილს პრეტენზია აქვთ დემოკრატიულობაზე, თუ წარსულში ინკვიზიციური პროცესით ბრალდებული მხოლოდ პროცესის უუფლებო ობიექტს წარმოადგენდა, დღეს მას შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს სხვადასხვა პროცესუალური გარანტიებით.

სამეცნიერო და ტექნოლოგიური წინსვლა ადამიანთა ცხოვრებაზე მრავალმხრივ ახდენს ზეგავლენას და გასაკვირი არ არის, რომ იგი დიდი როლის მქონეა სისხლის სამართლის პროცესში და დღეის მდგომარეობით მტკიცებულებათა მოპოვება მრავალმხრივი, უფრო ზუსტი, უფრო ჰუმანური და უფრო ლოგიკური მეთოდებით შეიძლება, რაც მათ მტკიცებულებით ძალას უფრო დამაჯერებელსა და სანდოს ხდის. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, შეიცვალა მტკიცებულებათა შეფასების კრიტერიუმები, გაიზარდა სპეციალური ცოდნის მქონე პირების როლი მტკიცებულებათა გამოკვლევისას, აღსანიშნავია ისიც, რომ მტკიცებულებების შეფასება საბოლოოდ მოსამართლეზეა დამოკიდებული და დაუშვებელია მტკიცებულებისთვის წინასწარ განსაზღვრული ძალის მინიჭება, ვინაიდან ისტორიას ახსოვს შემთხვევები, როდესაც დნმ-ის ზუსტმა ტესტმა კი შეცდომაში შეიყვანა სასამართლო.

რაც შეეხებათ ბრალდებულის ნების საწინააღმდეგოდ მოპოვებულ მტკიცებულებებს, მართალია ყოფილა შემთხვევები, როდესაც პირს განზრახ ჩაუდენია დანაშაული და სხვადასხვა მიზეზის გამო სურდა, რომ სასამართლოს ეცნო დამნაშავედ და მოხვედრილიყო სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, თუმცა, ამ იშვიათი გამონაკლისის გარდა, ადამიანებს არ

სურთ სამართალწარმოების სუბიექტის როლში ყოფნა და მთლიანად პროცესი მათი ნების საწინააღმდეგოდ მიმდინარეობს, ამიტომ აუცილებელია ჩამოვყალიბოთ, თუ რას გულისხმობს ბრალდებულის ნების საწინააღმდეგოდ მტკიცებულებების მოპოვება: როგორც ზემოთ აღვნიშნე, ბრალდებულს აქვს გარკვეული პროცესუალური გარანტიები და უფლებები, ამ უფლებათაგან ზოგი აბსოლუტური ხასიათისაა (მაგ: წამების აკრძალვა), ზოგი კი კანონიერი საფუძვლით შეზღუდვას ექვემდებარება. ჩვენთვის საყურადღებოა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი, რომლის შინაარსიც აზრობრივად იდენტურია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლისა და ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის¹ მე-8 მუხლის, ამ მუხლებში გათვალისწინებულია სამართლიანი სასამართლოს უფლება, რომელიც მოიცავს უდანაშაულობის პრეზუმფციასა და თვითინკრიმინაციის პრივილეგიას, რომლებსაც ცალკე თავს მოგვიანებით დავუთმობთ, თუმცა ამ ეტაპზე უნდა აღვნიშნოთ, რომ სწორედ თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია გულისხმობს ბრალდებულის დუმილის უფლების პატივისცემას, ბრალდებული დაცულია ხელისუფლების ორგანოების მხრიდან იძულებისგან, მას აქვს უფლება დარჩეს პასიური და აქტიურად არ შეუწყოს ხელი საკუთარი თავის წინააღმდეგ მტკიცებულებების მოპოვებას, შესაბამისად პირის იძულება რაიმე განცხადების გაკეთებასთან დაკავშირებით იწვევს მისი უფლებების დარღვევას, მიუხედავად იმისა, იყო ეს იძულება პირდაპირი, თუ არაპირდაპირი ან სულაც მოტყუებით. სწორედ ამ პოზიციას იზიარებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო და საქმეზე ალანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ² აღნიშნავს, რომ უფლება,

¹ იხ. American Convention on Human Rights (Pact of San Jose), ხელმისაწვდომია ვებ-მისამართზე: https://www.oas.org/dil/access_to_information_American_Convention_on_Human_Rights.pdf (ბოლოს ნანახია: 24.08.2020)

² იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმეზე Allan v. UK, განაცხადი N:48539/99, ეს და ყველა სხვა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, ხელმისაწვდომია ვებ-მისამართზე: hudoc.echr.coe.int

რომელიც აღიარებულია, როგორც სამართლიანი სასამართლო განხილვის ცნების ძირითადი პრინციპი, ემსახურება ექვმიტანილი პირის არჩევანის თავისუფლებას, უპასუხოს ხელისუფლების ორგანოთა კითხვებს თუ ისარგებლოს დუმილის უფლებით. თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია, ასევე აძლევს ბრალდებულს უფლებას არ გასცეს ის ინფორმაცია ან/და მასალები, რომლებიც მისი ნებისგან დამოუკიდებლად არ არსებობს, სხვა შემთხვევაში, სახელმწიფო ორგანოებს აქვთ იძულების წესით მტკიცებულებათა მოპოვების უფლება, თუმცა ისინი ბრალდებულის ნებისგან დამოუკიდებლად უნდა არსებობდნენ, მაგალითად შესაბამისი ნებართვით მოპოვებული დოკუმენტები, სუნთქვის, სისხლის, შარდის, თმისა და ხმის ნიმუშები.³ სწორედ მხოლოდ ბრალდებულის ნებას დაქვემდებარებული ინფორმაციის იძულებით მიღებას შეგვიძლია ვუწოდოთ „ბრალდებულის ნების საწინააღმდეგოდ მოპოვებული მტკიცებულება“, ამასთან, ეს მტკიცებულება შეიძლება იყოს არამატერიალური, ბრალდებულის გონებაში არსებული ცოდნა და მატერიალური, მის სხეულში არსებული, დამალული მაც: ნივთიერი მტკიცებულება, გადაყლაპული ჰეროინის პაკეტი, რომლის ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციას მხოლოდ ბრალდებული ფლობს. მოკლედ რომ ვთქვათ, თუ ბრალდებულს არ სურს სისხლის სამართლის საქმეზე ქეშმარიტების დადგენაში აქტიური მონაწილეობა, სახელმწიფო ორგანოებს არ აქვთ მისი იძულების უფლება.

მოცემულ ნაშრომი ასევე მიზნად ისახავს იმ მტკიცებულებათა გარშემო საკითხების განხილვას, რომლებიც თუმცა ბრალდებულის ნებისგან დამოუკიდებლად არსებობენ, თუმცა მათი მოპოვება განსაკუთრებულ სიფრთხილეს საჭიროებს და რთულია ზუსტად გავავლოთ ზღვარი სად იწყება და მთავრდება მტკიცებულებათა კანონიერი და უკანონო მოპოვების საკითხი. თუმცა თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია იცავს ბრალდებულს მის წინააღმდეგ გარკვეული ინფორმაცია/მტკიცებულების

³ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმეზე Saunders v. UK, განაცხადი N: 54810/00;

გაცემისაგან, გარკვეულ შემთხვევებში სახელმწიფოს მხრიდან იძულებითი ღონისძიებები დასაშვებია, მაშინ, როდესაც არსებობს დამნაშავეის დასჯის სახელმწიფო ინტერესი. სისხლის სამართლის პროცესის ამოცანაა, ბრალდებულის უფლებებში სახელმწიფოს მიერ გაუმართლებელი ჩარევის თავიდან ასაცილებლად, სახელმწიფო ორგანოების მოქმედებები მოაქციოს გარკვეულ კონსტიტუციურ ჩარჩოებში და დაიცვას ბალანსი ბრალდებულის ინდივიდუალურ ინტერესებსა და დამნაშავეის დასჯის სახელმწიფო ინტერესს შორის. სსსკ-ის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილი და 38-ე მუხლის მე-4 ნაწილი მოწოდებულია ბრალდებულს თვითინკრინაციისგან დაცვისა და სამართლებრივ-სახელმწიფოებრივი პროცესის უზრუნველყოფისკენ, სადაც ჭეშმარიტების დადგენა ყველაფრის ფასად დაუშვებელია⁴, სსსკ-ის 121-ე მუხლის 1-ლი ნაწილი და 147-ე მუხლი კი პირიქით, სახელმწიფოს აძლევს შესაძლებლობას ჩაერიოს ადამიანის კონსტიტუციურ უფლებებში. ასეთ ანალიზს მივყავართ იმ აზრამდე, რომ მტკიცებულების მოპოვების ერთი და იგივე მეთოდი ზოგიერთ შემთხვევაში კანონით ნებადართულია, ხოლო სხვა შემთხვევაში არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობასაც კი შეიძლება გაუთანაბრდეს. ბრალდებულს ვერ ვაიძულებთ მოგვაწოდოს ინფორმაცია მტკიცებულებაზე, მის ადგილსამყოფელსა და არსებობაზე, თუმცა სახელმწიფო ორგანოებს შეუძლიათ იძულების ღონისძიების გამოყენება მაშინ, როდესაც ეს ღონისძიება მიმართულია მტკიცებულებითი მნიშვნელობის საგნის ბრალდებულის სხეულიდან ამოღებისკენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: დაუშვებელია ბრალდებულის იძულება, რომ მან აქტიურად შეიტანოს წვლილი საკუთარი მსჯავრდებაში, მაგრამ ბრალდებულმა უნდა ითმინოს სახელმწიფო ორგანოების მხრიდან მასზე ისეთი იძულების განხორციელება, რაც მას ამხელს დანაშაულის ჩადენაში,⁵

⁴ იხ. გ. თუმანიშვილი, სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, 2014, გვ. 40.

⁵ იხ. გ. თუმანიშვილი, ბრალდებულის პირადი ჩხრეკა, მისი სხეულიდან ნიმუშის აღება და თვითინკრი-მინაციისგან დაცვის პრივილეგია, წიგნში: გურამ ნაჭყებია-75, საიუბილეო კრებული, 2016, გვ. 73.

რასაკვირველია როდესაც ისინი კანონის ფარგლებს არ სცდება და სწორედ კანონით დადგენილი სტანდარტებია საინტერესო, რომლებზეც უფრო დაწვრილებით შესაბამის თავებში ვისაუბრებთ და მტკიცებულებათა მოპოვების სხვადასხვა გზებს ინდივიდუალურად განვიხილავთ.

1.1 ბრალდებულის რელევანტური უფლებების ზოგადი მიმოხილვა

როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, ბრალდებულის მიმართ გატარებული სხვადასხვა ღონისძიებები, წარმოადგენენ მის უფლებებში ჩარევას და ეს ჩარევა კანონის მკაცრი დაცვით უნდა მოხდეს. ამასთან, არ აქვს მნიშვნელობა პირის მიმართ კანონით გათვალისწინებული ღონისძიება ხორციელდება თუ უკანონო, როდესაც იგი კანონით დადგენილ ფარგლებს სცდება, მაგალითად: პირს აიძულებენ ინფორმაცია გასცეს საკუთარი თავის წინაარმდეგ, თუ მის მიმართ ახორციელებენ ისეთ ქმედებას, რომელიც ექცევა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის ფარგლებში და აღწევს ამ მუხლით გათვალისწინებულ სისასტიკის მინიმალურ ზღვარს. სისასტიკის მინიმალური ზღვრის შეფასება ფარდობითია და საჭიროებს გარემოებათა ინდივიდუალურ შეფასებას, სასტიკი მოპყრობის ხანგრძლივობა, ფიზიკური და გონებრივი ზემოქმედება და რიგ შემთხვევებში დაზარალებულის სქესი, ასაკი თუ ჯანმრთელობის მდგომარეობა⁶. ასეთ შემთხვევაში, როდესაც ირღვევა ადამიანის აბსოლუტური უფლება, მის შედეგად მოპოვებული მტკიცებულების გამოყენების საკითზე საუბარი, ჩემი აზრით, ზედმეტია, თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადმოსახედიდან ის მიზეზი აქვს, რომ სასამართლოს როლი არ არის დაადგინოს კონკრეტულ მტკიცებულებასთან

⁶ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმეზე Price v. U.K. , საქმე N: 33394/96;

დაკავშირებით მისი დასაშვებობისა და გამოყენებადობის საკითხი, სასამართლოს ძირითადი ინტერესი და სამსჯელო საკითხია მთლიანობაში დაირღვა თუ არა ამ ყველაფრის შედეგად სამართლიანი სასამართლოს უფლება. როდესაც პირზე ხორციელდება ზემოქმედება, კანონით გათვალისწინებული ჩარევის ზღვარს გადაცდომა უმეტეს შემთხვევაში იწვევს ადამიანის უფლებათა დარღვევას. თუ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლს დაწესებული აქვს სისასტიკის მინიმალური ზღვარი, ადამიანის სხეულზე კანონიერი ზემოქმედებაც კი, კონვენციის მე-8 მუხლში შეჭრაა, თუმცა კანონიერი და დასაშვები, მანამ, სანამ დაშვებულ ზღვარს არ გადაცდება ქმედება. ადამიანის უფლებებში შეჭრა, შეგვიძლია მოვაქციოთ რამდენიმე მარტივ კრიტერიუმში: ჩარევის აუცილებლობა და საჭიროება, ჩარევის თანაზომიერება, ჩარევის ეფექტიანობა, ჩარევის კანონით გათვალისწინებული საფუძველი. ზემოხსენებული კრიტერიუმები ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევას განსხვავებულად ერგება, შესაბამისად ყველა შემთხვევა ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს და შემფასებელმა, სასამართლომ, უნდა დაასკვნას, რომ ჩარევა კანონის ფარგლებს არ გასცდა, მხოლოდ ამ შემთხვევაში არ დადგება სამართლიანი სასამართლო უფლების დარღვევის საკითხი და იძულებითი ღონისძიების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია მტკიცებულებითი ძალის შეძენის შემთხვევაში იქნება დასაშვები და სარწმუნო.

1.2 საქმის სამართლიანი განხილვის უფლება

სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება მოცემულია ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციის მე-6, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14, ადამიანის

უფლებათა ამერიკულ კონვენციის მე-8 და საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლებში. თითოეულ მათგანს შორის შესაძლებელია მცირე განსხვავების დანახვა, თუმცა სხვაობა შეიძლება ითქვას მხოლოდ სტილისტურია და ეს მუხლები ფაქტობრივად ერთსა და იმავე მიზანს ემსახურება.

„სამართლიანობა“ ხშირად ასოცირებულია სპორტულ შეჯიბრებებთან და ემყარება ისეთ ღირებულებებს, როგორებიცაა მოწინააღმდეგისა და თამაშის წესების პატივისცემა, პატიოსნება, თავშეკავება, გამარჯვებისთვის ბრძოლისთვის მზადყოფნა, თუმცა არა ყველაფრის ფასად. როგორც ჯეროვანი სამართალწარმოების იდეა, ისე თავად სიტყვები მომდინარეობს ანგლო-საქსური ტრადიციიდან და დასაბამს იღებს 1215 წლის „მაგნა კარტიდან“. ეს განსაკუთრებით ცხადია „მხარეთა თანასწორუფლებიანობის“ კონტექსტში, რომელიც ასახულია საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლში და ევროპული კონვენციის მე-6 მუხლში, ამერიკული კონვენციის შემთხვევაში, არ არის ასახული, თუმცა განვითარებულია პრეცედენტულ სამართალში.⁷

აღსანიშნავია, რომ სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება მხოლოდ საპროცესო ხასიათისაა და მისი მიზანი არ არის შედეგზე ორიენტირებული მართლმსაჯულება, ანუ მისი განხილვის საგანს წარმოადგენს სასამართლო პროცესის სამართლიანობა და არა ის, რომ განაჩენი დაეფუძვნა უტყუარ ფაქტებს და კანონი სწორად იქნა გამოყენებული. სასამართლო აფასებს, იყო თუ არა სამართლიანი სამართალწარმოების მთელი პროცესი, მტკიცებულებების მოპოვების გზის ჩათვლით.⁸ ვინაიდან როდესაც ევროპული კონვენციით გათვალისწინებულ უფლებათა დარღვევასთან დაკავშირებით დგება საკითხი, სასამართლო აღნიშნავს, რომ ის არ წარმოადგენს მეოთხე ინსტანციას, იგი აღნიშნავს, რომ გარდა იმისა, რომ იგი არ წარმოადგენს მეოთხე ინსტანციას, ადამიანის

⁷ შტეფან ტრექსელი - ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, 2009 წ. თბილისი. გვ.104;

⁸ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2000 წლის 12 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე: Khan v. U.K. საქმე N:35394/97;

უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ბარბერასა და სხვათა საქმეზე განმარტებულია, რომ მტკიცებულებათა შეფასება, მათ შორის მათი რელევანტურობის განსაზღვრა არის ეროვნული სასამართლოების პრეროგატივა⁹. ევროპული სასამართლო ასევე მიიჩნევს, რომ შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოები უკეთეს პოზიციაში არიან, ევროპულ სასამართლოსთან შედარებით, რათა შეაფასონ მტკიცებულებები, დაადგინონ ფაქტები და განმარტონ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა.¹⁰ კონვენციის იმპლემენტაციის ვალდებულება, პირველ რიგში, ეროვნულ ხელისუფლებას ეკისრება, მიუხედავად იმისა, რომ კონვენცია ცოცხალი ინსტრუმენტია, მისი როლი სუბსიდიარულია.¹¹

სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების განმარტება ორ ძირითად ელემენტს გულისხმობს: მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპსა და შეჯიბრებით პროცესს. სასამართლო კისრულობს ნეიტრალური არბიტრილს როლს, კანონის საფუძველზე აკონტროლებს შეჯიბრებითი პროცესის პირობებში თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვას. ამ კონტექსტში თანასწორუფლებიანობის პრინციპის ხსენებისას, თვალწინ გვიდგება სხვა რეალობა, ის, რომ ფაქტობრივად შეუძლებელია იდეალური თანასწორობის მიღწევა, ბრალდების მხარისა და დაცვის მხარის განსხვავებული როლებისა და შესაძლებლობების შესაბამისად, თუმცა როგორც ყველაზე მინიმუმ, კონვენციაში გათვალისწინებული გარემოებები უნდა იქნეს გათვალისწინებული, დაცვის მხარის უფლებები გარანტირებული და დაცული.

მიუხედავად იმისა, რომ ამ თავში აღვნიშნე, რომ ხსენებული უფლება შედეგზე ორიენტირებული არ არის, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მას შედეგზე გავლენის მოხდენა არ შეუძლია. სამართლიანობის იდეალური გაგებით,

⁹ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმეზე Barbera, Messegue, Jabardo v. Spain, პუნქტი 68, საქმე N: 10588/83;

¹⁰ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, Bulychyev v. Russia, პუნქტი 32, საქმე N: 10588/83;

¹¹ შტეფან ტრექსელი - ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, 2009 წ. თბილისი. გვ.106;

სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევამ შედეგი უნდა გამოიღოს, სხვა შემთხვევაში ეს უფლება მხოლოდ სასურველ რეალობად დარჩება. რა შედეგს გამოიღებს სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა სისხლის სამართლის სამართალწარმოებისას სხვადასხვა ფაქტორებზე დამოკიდებული, მათ შორის სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესზე დანაშაულებრივი ქმედების დასჯის მიმართ და ზოგადად, სამართლიანობის პრინციპზე. როდესაც ვახსენებთ სამართლიანობას, ბუნებრივად ბევრი პასუხგაუცემელი კითხვა ჩნდება, თუ პირმა ჩაიდინა დანაშაული, ხოლო მის მიმართ მოპოვებული მტკიცებულება კანონის უხეში დარღვევით არის მოპოვებული, სამართლიანი იქნება თუ არა მისთვის დანაშაულის მიტევება ან მისი დაუსჯელობა, სხვა საკმარისი მტკიცებულებების არარსებობის ფონზე? შეგვიძლია შევატრიალოთ კითხვა, სამართლიანი იქნება თუ არა პირის დასჯა, მაშინ როდესაც მისი გამამართლებელი ერთადერთი მტკიცებულება კანონის დარღვევით არის მოპოვებული და ამ მტკიცებულების მიუღებლობის შემთხვევაში აშკარად უდანაშაულო პირი დაისჯება? მეორე შემთხვევაში საკითხი შედარებით მარტივად არის, სამართლიანობის პრინციპისკენ უნდა გადავიხაროთ და აღვკვეთოთ უდანაშაულო ადამიანის დასჯა, გარემოებების მიუხედავად, როცა საქმე ისეთი მარტივი მოცემულობითაა, როგორც ნაშრომში მოვიხსენიეთ. რაც შეეხება პირველ შემთხვევას, აქ სახელმწიფოსა და ბრალდებულის ინტერესთა კოლიზიის რთული შემთხვევაა მოცემული და გარკვეულ შემთხვევებში ერთმა შეიძლება მეორე გადაწონოს.

პრეცედენტული სამართლის ანალიზის გვიჩვენებს, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლება მოიცავს სხვა ელემენტებსაც, როგორცაა სასამართლოს მხრიდან მოტივირებული გადაწყვეტილების უფლება, სწრაფ სამართალწარმოებასა და *ex officio reformatio in pejus*-ის, ანუ

ბრალდებულის მიერ აპელაციის შემთხვევაში, მის აპელაციამდე უფრო ცუდ მდგომარეობაში ჩაყენების აკრძალვას.¹²

1.2.1 თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია

საქმის სამართლიანი განხილვის უფლებაზე საუბარი, წარმოდგენილი ნაშრომის მიზნებისთვის, ემსახურება თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგიამდე და უდანაშაულობის პრეზუმფციამდე მისვლას. თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია, პირველ რიგში, გულისხმობს ბრალდებულის დუმილის უფლებას.

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია არ შეიცავს პირდაპირ დებულებას, რომლითაც იგი იცავს ბრალდებულის დუმილის უფლებას, თუმცა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მის გადაწყვეტილებებში აღნიშნავს, რომ თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია მჭიდრო კავშირშია უდანაშაულობის პრეზუმფციასთან, რომელიც კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილით არის გათვალისწინებული და ეს სასამართლომ არაერთხელ დაადასტურა მის გადაწყვეტილებებში¹³.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „დაუშვებელია ადამიანის ნების თავისუფლებაზე ზემოქმედება წამების, ძალადობის, სასტიკი მოპყრობის, მოტყუების, სამედიცინო ჩარევის, ჰიპნოზის, ასევე სხვა ისეთი ღონისძიებების გამოყენებით, რომლებიც ზემოქმედებს ადამიანის მეხსიერებაზე ან აზროვნებაზე. აგრეთვე დაუშვებელია მუქარა.“ ზემოაღნიშნული

¹² იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2002 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე, *Mouisel v France*, , საქმე N:67263/01;

¹³ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე, *Saunders v. U.K.* პუნქტი 64. საქმე N:67263/01; *Heaney & McGuinness v. Ireland & Quinn v. Ireland.* პუნქტი 40;

მსჯელობიდან გამომდინარე, თუ ბრალდებული უარზეა მისცეს საგამომიებო ორგანოს ან სასამართლოს ჩვენება, სახელმწიფო ორგანოებს კატეგორიულად ეკრძალებათ ბრალდებულზე ნებისმიერი ზემოქმედება, რათა მისგან მიიღონ რაიმე სახის ინფორმაცია.¹⁴ სხვა მხრივ კანონი არ კრძალავს ბრალდებულის სხეულიდან საქმისათვის მნიშვნელოვანი საგნის ან ნივთიერების აღებას.¹⁵ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიუთითებს, რომ სახელმწიფო ორგანოები უნდა ეცადონ მათი პოზიციის დამტკიცებას მხოლოდ ძალადობისა და ზეწოლის გარეშე მოპოვებული მტკიცებულებებით, რათა თავიდან იქნეს აცილებული მართლმსაჯულების არასათანადოდ განხორციელება.¹⁶

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ დუმილის უფლება და ბრალდებულის უფლება არ დაიბრალოს დანაშაული, როგორც ზოგადად აღიარებული პრინციპი წარმოადგენს სამართლებრივ-სახელმწიფოებრივი სისხლის სამართლის პროცესის ქვაკუთხედს და იცავს ბრალდებულს სახელმწიფო ორგანოების იძულებისგან. ამაზე სასამართლომ პირველად იმსჯელა საქმეზე ფუნკე საფრანგეთის წინააღმდეგ.¹⁷ იგივე პოზიცია დაადასტურა სასამართლომ საქმეში სანდერსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ.¹⁸ სასამართლომ მიიჩნია, რომ თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგია მჭიდრო კავშირშია უდანაშაულობის პრეზუმფციასთან, რაც მთლიანობაში იცავს

¹⁴ იხ. ლ. მალაკელიძის სტატია, ბრალდებულის შეცდომაში შეყვანის გზით მოპოვებული ინფორმაცია და თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგია ქართული და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით; გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ელექტრონული ჟურნალი, მესამე გამოცემა, 2018 წ. - www.dgstz.de; ასევე იხილეთ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 1-ლი მაისის გადაწყვეტილება საქმეზე Gäfgen v. Germany საქმე N: 22978/05;

¹⁵ იხ. გ. თუმანიშვილი - ბრალდებულის პირადი ჩხრეკა, მისი სხეულიდან ნიმუშის აღება და თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია, წიგნში: გურამ ნაჭყებია-75, საიუბილეო კრებული, 2016, გვ. 72.

¹⁶ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: John Murray v. U.K. პუნქტი N45., საქმე N:67263/01;

¹⁷ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1993 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: Funke v. France, საქმე N: 10828/84;

¹⁸ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1996 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: Saunders v. U.K. საქმე N:67263/01;

ბრალდებულს მისი თავისუფალი ნების სახელმწიფო ორგანოების მიერ იძულებითა და ძალადობით დაძლევისგან. აღსანიშნავია, რომ სწორედ ზემოხსენებულ სანდერსის საქმეში, სასამართლომ შეზღუდა თვითინკრინაციის პრივილეგია და მიუთითა, რომ თვითინკრინაციისგან დაცვის პრივილეგია არ ვრცელდება იძულების გამოყენებით მოპოვებულ ისეთ მტკიცებულებებზე, რომლებიც არსებობენ ბრალდებულის ნებისგან დამოუკიდებლად. სანდერსის საქმესზე გადაწყვეტილებაში ევროპული სასამართლო ადასტურებს, რომ დაუშვებელია ბრალდებულის იძულება, რათა მან უშუალოდ მიაწოდოს სახელმწიფო ორგანოების დანაშაულში მამხილებელი მტკიცებულებები. თუმცა სახელმწიფო ორგანოების მხრიდან იძულების აკრძალვა ვრცელდება მხოლოდ ბრალდებულის ნებას დაქვემდებარებულ ინფორმაციაზე, ხოლო დანარჩენი ინფორმაციები, რომლებიც ბრალდებულის ნების დამოუკიდებლად არსებობენ, არ არიან მოცემული თვითინკრინაციისგან დაცვის პრივილეგიის ქვეშ.¹⁹

2006 წლის გადაწყვეტილებაში, ჯალო გერმანიის წინააღმდეგ,²⁰ სასამართლომ გარკვეულწილად შეცვალა დამოკიდებულება ბრალდებულის სხეულში განცოროხილებულ ჩხრეკასთან დაკავშირებით. სასამართლომ დაადგინა თვითინკრინაციისგან დაცვის უფლების დარღვევა ბრალდებულის სხეულიდან გადაყლაპული ნარკოტიკული ნივთიერების პირღებინების სამედიცინო საშუალების იზულებით გამოყენებით მოპოვების შემთხვევაში. ჯალოს საქმეში ადგილი ჰქონდა ძალის გამოყენებით პირის ნების წინააღმდეგ მისთვის ამოსაღებინებელი საშუალების მიცემას, ქმედება სასამართლომ გარკვეული ფაქტორების გათვალისწინებით შეაფასა და დაასკვნა, რომ ნებისმიერი ღონისჯიება,

¹⁹ იხ. გ. თუმანიშვილი - ბრალდებულის პირადი ჩხრეკა, მისი სხეულიდან ნიმუშის აღება და თვითინკრინაციისგან დაცვის პრივილეგია, წიგნში: გურამ ნაჭყებია-75, საიუბილეო კრებული, 2016, გვ. 85; ასევე იხილეთ ჯერემი მაკბრაიდის “ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სასამართლო პრაქტიკა“ (Jeremy McBride „The case law of the European Court of Human Rights) 2009 წ. გვ. 188;

²⁰ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: Jalloh v. Germany. საქმე N:54810/00;

რომელიც ამგვარი იძულების ხასიათს ატარებს (ჯალოს 4 პოლიციელი აკავებდა და ექიმმა ცხვირის ღრუს გავლით კუჭამდე ზონდი ჩაუყო, რომლის საშუალებითაც მის სხეულში შეიყვანა ამოსაღებინებელი საშუალება), უნდა შეფასდეს კონვენციის მე-3 მუხბთან და არ უნდა მიაღწიოს წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ზღვარს. ასეთი შემთხვევისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ გარემოებებს: მტკიცებულების საპოვნელად იძულების წესით განხორციელებული სამედიცინო ხონისძიების ფარგლები, იძულების ღონისძიების რისკები ბრალდებულის ჯანმრთელობისთვის, იძულების ღონისძიების სახე და ფორმა, იძულების ღონისძიებით გამოწვეული თკივილი და სულიერი განცდა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ხაზგასმით მიუთითა, რომ იგი თვითინკრინაციისგან დაცვის პრივილეგია ასევე იცავს სახელმწიფო ორგანოების მიერ ბრალდებულის სხეულს გარკვეული ხასიათის იძულებითი ღონისძიებებისგან. ჯალოს საქმეში განმცხადებელი ასევე მიუთითებდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევაზე. მე-8 მუხლი მოიცავს პირის საკუთარ სხეულზე ბატონობის უფლებას და კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებთან ერთად ავსებს ე.წ. „სხეულებრივი მთლიანობის“ უფლებას.²¹ აღსანიშნავია, რომ კონვენციის მე-8 მერვე მუხლი არ არის აბსოლუტური ხასიათის და იგი გარკვეულ შემთხვევებში უშვებს პირის უფლებებში ჩარევას, მაშინ, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უწყსრიგობისა თუ დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან მორალის, ან/და სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. ეს შემთხვევები მეტწილად უნივერსალური ხასიათისაა და ადამიანის უფლებებში შეჭრის ძირითად კანონიერ

²¹ იხ. გ. თუმანიშვილი - ბრალდებულის პირადი ჩხრეკა, მისი სხეულიდან ნიმუშის აღება და თვითინკრინაციისგან დაცვის პრივილეგია, წიგნში: გურამ ნაჭყებია-75, საიუბილეო კრებული, 2016, გვ. 87

საფუძვლებს წარმოადგენენ. ჯალოს საქმეზე ევროპულმა სასამართლომ არ დაადასტურა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა²² და ამის არგუმენტად ის მიუთითა, რომ თუ კონკრეტულ შემთხვევაში დასტურდება კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა, აღარ არსებობს მე-8 მუხლის დარღვევის აუცილებლობა. ამით სასამართლომ ფაქტობრივად ღიად და პასუხგაუცემლად დატოვა ეს საკითხი.

საინტერესოა ა.შ.შ. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე როჩინი კალიფორნიის წინააღმდეგ,²³ სადაც ჯალოს საქმის მსგავსად ადგილი ჰქონდა ამოსაღებინებელი საშუალების ძალით გამოყენებას. როჩინის საჩივარზე სააპელაციო სასამართლომ მტკიცებულება დასაშვებად ცნო, ვინაიდან კალიფორნიისა და ა.შ.შ.-ის კონსტიტუციებით სისხლის სამართლის პროცესში მსგავსი უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულებები დასაშვები იყო. ა.შ.შ.-ის უზენაესმა სასამართლომ მოცემულ საქმეზე თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგიისა და მთლიანად სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა დაადგინა, მოსამართლე ფრანკფურტერმა აღნიშნა, რომ მტკიცებულების მოპოვების საშუალება იმდენად სასტიკი იყო, რომ იგი იყო აშკარად და საშინლად უსამართლო.

1.2.2 უდანაშაულობის პრეზუმფცია

უდანაშაულობის პრეზუმფცია, მარტივად, გულისხმობს ადამიანის უფლებას, ითვლებოდეს უდანაშაულოდ მანამ, სანამ მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით. ეს უფლება გარანტირებულია როგორც საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-5 ნაწილით, იგი ასევე გათვალისწინებულია ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6 მუხლის

²² იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: Jalloh v. Germany. პუნქტი 86, ხელმისაწვდომია ქართულ ენაზეც- supremecourt.ge

²³ იხ. ა.შ.შ. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე Rochin v. California, 342 U.S. 165 (1952) ხელმისაწვდომია ვებ მისამართზე: law.cornell.edu;

მე-2 ნაწილითა და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მე-2 ნაწილით. ანალოგიური შინაარსის მატარებელია ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის მე-8 მუხლის მეორე ნაწილიც და როგორც წინა ქვეთავის შემთხვევაში აღინიშნა, ტექსტებს შორის განსხვავება უმნიშვნელოა და წარმოადგენს მხოლოდ დებულებებში გამოყენებულ მცირედ სახეცვლილ ფორმულირებებს.

ადამიანებმა პატივი უნდა სცენ უდანაშაულობის პრეზუმფციას, თუმცა ამ უფლების რეალიზება ხშირად რთულად გადასალახ ბარიერებს აწყდება. უდანაშაულობის პრეზუმფციაში მოიხსენიება პირის რეპუტაციის დაცვის უფლებაც, გარდა იმისა, რომ მოსამართლესაგან განსხვავებით, რომელმაც სასურველია გონებრივად მუდამ ღიად დატოვოს პირის ბრალეულობის საკითხი, სანამ სასამართლო პროცესის შესაბამისი ეტაპები არ გადაილახება და განაჩენში წარმოაჩინოს მისი რწმენა და საქმისადმი დამოკიდებულება, ღიად არც ერთ შემთხვევაში არ დააფიქსიროს საკუთარი აზრი, პროკურორსაც, მიუხედავად მისი ძირითადი საქმიანობისა, რაც სახელმწიფო ბრალდებლის მოვალეობის შესრულებასა და პირის დამნაშავეობის მტკიცებას გულისხმობს, აქვს ვალდებულება, როგორც მინიმუმ პატივი სცეს უდანაშაულობის პრეზუმფციას, მართალია მას აქვს საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება, თუმცა ამან ხელი არ უნდა შეუწყოს მცდარი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას, რაც მაგალითად ბრალდებულის გამართლების შემთხვევაში, მისი რეპუტაციის გაუმართლებელ შელახვას გამოიწვევს. ბრალდებულის რეპუტაციას განსაკუთრებით ხშირად აზიანებს მედია, ვინაიდან მედიის როლია ინფორმაციის გავრცელება, მათ განსაკუთრებული ყურადღება მართებთ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის შესახებ ინფორმაციის გავრცელებისას, ვინაიდან ბრალდებულის დამნაშავედ მოხსენიება საზოგადოებაში უკვე აჩენს გარკვეულ დამოკიდებულებას და საკმაოდ იოლად ლახავს ბრალდებულის რეპუტაციას. ამ გაგებით, უდანაშაულობის

პრეზუმფცია მიზნად ისახავს პირის რეპუტაციის დაცვას და უფრო კონვენციის მე-8 მუხლს უკავშირდება, ვიდრე მე-6 მუხლს.²⁴

უდანაშაულობის პრეზუმფციის კომპლექსური ხასიათი არ გვაძლევს შესაძლებლობას ნათლად ჩამოვაცალიოთ, თუ რა მიზანს ემსახურება იგი. ამ პრინციპთან მიმართებით, მეორე, განსხვავებული მიდგომა: ეს მიდგომა სასამართლომ გამოიყენა საქმეში დევერი ბელგიის წინააღმდეგ,²⁵ რომელშიც განმცხადებელი აღმოჩნდა ძლიერი ეკონომიკური წნეხის ქვეშ, რომ მიეღო მეორე მხარის წინადადება მორიგების შესახებ და გადაეხადა ჯარიმა. მისი განაცხადი უკავშირდებოდა, მე-6 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებს. გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლომ განაცხადა, რომ „აღნიშნული ორი პუნქტი წარმოადგენდა იმავე მუხლის პირველ პუნქტში განმტკიცებულ ზოგადი პრინციპის კონკრეტულ გამოვლინებებს“. მე-2 პუნქტით გარანტირებული უდანაშაულობის პრეზუმფცია და სხვა უფლებები, წარმოადგენენ სისხლის სამართლის პროცესში სამართლიანი სასამართლო განხილვის ცნების შემადგენელ ელემენტებს. კიდევ უფრო ფართო და წონიანი მიზანია მოყვანილი საქმეში: სალაბიაკუ საფრანგეთის წინააღმდეგ,²⁶ რომელშიც სასამართლომ განაცხადა, რომ უდანაშაულობის პრეზუმფცია, როგორც სამართლიანი სასამართლო განხილვის ელემენტი, „მიზნად ისახავს კანონის უზენაესობის ფუნდამენტური პრინციპის დაცვას. ეს განმარტება გულისხმობს უდანაშაულობის პრეზუმფციის ეგრეთ წოდებულ „შედეგზე ორიენტირებულ ასპექტს“. უდანაშაულობის პრეზუმფციის უფლება უკავშირდება იმ ფსიქოლოგიურ გარემოს, რომელშიც მიმდინარეობს საქმის განხილვა და გულისხმობს პროკურორისა და მოსამართლის მხრიდან პირისადმი კონკრეტულ დამოკიდებულებას. მიუხედავად იმისა, რომ პროკურორი და მოსამართლე შეიძლება

²⁴ შტეფან ტრექსელი - ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, 2009 წ. თბილისი. გვ.185-186;

²⁵ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1980 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: Deweer v. Belgium, საქმე N: 6903/75;

²⁶ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1991 წლის გადაწყვეტილება საქმეზე: Salabiaku v. France, საქმე N:37988/12;

დარწმუნებული იყვნენ პირის ბრალეულობაში, ისინი მზად უნდა იყვნენ სხვადასხვა მტკიცებულებების წარმოდგენის შედეგად მოსაზრების შეცვლისთვის.²⁷ პირის ბრალეულობასთან დაკავშირებული საკითხი ღიად უნდა დაღჩეს ნებისმიერ შემთხვევაშიც, მაშინაც კი, როდესაც ბრალდებულის წინააღმდეგ არსებული მტკიცებულებები დამაჯერებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დადებულია საპროცესო შეთანხმება. აღსანიშნავია, რომ უდანაშაულობის პრეზუმფციის პატივისცემა მხოლოდ პროკურორსა და მოსამართლეს არ ევალებათ, სხვა საჯარო პირებიც ვალდებულნი არიან პატივი სცენ უდანაშაულობის პრეზუმფციას, ვინაიდან ეს საკითხი ეხება საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას და საჯარო განცხადების გაკეთების შემდეგ, არავინ დაიჯერებს, რომ პირი უდანაშაულოა, როგორც ეს იყო ალენე დე რიბემონის²⁸ საქმეში, სადაც მაღალჩინოსანი პოლიციელის განცხადება მიანიშნებდა, საჯარო პირი ბრალდებულს უკვე დამნაშავედ თვლიდა. რიბემონის საქმეზე გადაწყვეტილება გვამლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ უდანაშაულობის პრეზუმფციის კავშირი სასამართლო პროცესთან ნაწილობრივ პირობითია და იგი მაშინაც შეიძლება დაირღვეს, როდესაც ბრალდებულის მიმართ გაკეთებულ განცხადებას არ მოჰყვება სასამართლო განხილვა, თუმცა კი პირის რეპუტაცია შელახული დარჩა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მე-6 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებს ზოგ შემთხვევაში მოიხსენიებს მე-6 მუხლის შემადგენელ ნაწილებად, ანუ ადგენს, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლება მთლიანად მოიცავს კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ უფლებებს, ზოგ შემთხვევაში კი ცალკე მიუთითებს მუხლის რომელიმე კონკრეტული ნაწილის დარღვევაზე.²⁹

²⁷ შტეფან ტრექსელი - ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, 2009 წ. თბილისი. გვ.186;

²⁸ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1996 წლის 7 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე: *Allenet de Ribemont v. France*, საქმე N:15175/89;

²⁹ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1994 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: *Hentrich v. France*, საქმე N:13616/88;

თავი II

ბრალდებულის სხვა რელევანტური უფლებები და მათი როლი მტკიცებულების მოპოვების საკითხში

როგორც ნაშრომში უკვე აღინიშნა, მტკიცებულებების მოპოვებისას ძალადობით პირზე ზემოქმედება, იწვევს მის უფლებებში ჩარევას, გაუმართლებელი ჩარევა კი მოქმედებს მოპოვებული მტკიცებულების მიმართ დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტისას - უარყოფითად. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ხშირად აღნიშნავს, რომ იგი არ წარმოადგენს მეოთხე ინსტანციას და მტკიცებულებებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტას ეროვნულ სასამართლოებს “ანდობს”, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა დარღვევა შედეგად მხოლოდ ევროპული სასამართლოს მიერ დარღვევის დადგენას გამოიწვევს. დემოკრატიულობაზე პრეტენზიის მქონე სახელმწიფოთა უმეტესობას საკუთარ კანონმდებლობაში აქვს ასახული იმ უფლებათა დაცვის გარანტიები, რომლებიც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციითაა გათვალისწინებული, ევროპული სასამართლო კი ახორციელებს კონვენციით გათვალისწინებული უფლებების კონვენციის ხელშემკვრელი მხარეების მიერ დაცვის კონტროლს. კონვენცია, როგორც სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებათა უმეტესობა, ხელშემკვრელ მხარეებს უწესებს უფლებათა დაცვის მინიმალურ სტანდარტებს, თუმცა ანიჭებს მათ დისკრეციის თავისუფლებას, დააწესონ უფლებათა დაცვის უფრო მაღალი სტანდარტები, ვიდრე კონვენციითაა დაცული, რა თქმა უნდა, თანაზომიერებისა და სხვა პრინციპების დაცვით. სახელმწიფოები თავადაც უზრუნველყოფენ ადამიანის უფლებათა დაცვას და სწორედ ისინი არიან ვალდებულნი - მოახდინონ სათანადო რეაგირება დარღვევებზე და

შესაბამისად შეაფასონ კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებთან დაკავშირებული საკითხები.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სსსკ-ის 72-ე მუხლი დაუშვებლად ცნობს არსებითი დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს. არსებითი დარღვევა გარკვეულ შემთხვევებში მარტივად დასადგენია, მაგალითად როდესაც გამოვლინდება ისეთი ქმედება, რომელიც აღწევს სისასტიკის იმ მინიმალურ ზღვარს, რომელიც ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას წარმოქმნის. სხვა შემთხვევაში, მაგალითად, კონვენციის მე-8 მუხლში ჩარევისას, შესაფასებელი ხდება არა მხოლოდ ჩარევის კანონიერების საკითხი, არამედ მისი დარღვევის "არსებითი" ხასიათიც.

ვინაიდან საქმის სამართლიანი განხილვის უფლებაზე უკვე ვისაუბრეთ, ნაშრომის მიზნებისთვის, ამ თავში მთავარი განსახილველი საკითხებია წამების აკრძალვა და პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება. მათთვის მომდევნო თავების ინდივიდუალურ დათმობას განაპირობებს ის, რომ სწორედ ისინი წარმოადგენენ იმ უფლებებს, რომლებიც ყველაზე ხშირად არიან კავშირში ბრალდებულისგან მოპოვებული მტკიცებულებების პრობლემურობის საკითხთან.

2.1 წამების აკრძალვა

ადამიანის წამება, არაადამიანური თუ დამამცირებელი დასჯა ან მასთან ასეთი მოპყრობა დაუშვებელია.³⁰ ეს საერთაშორისო საზოგადოების მიერ უნივერსალურად აღიარებულ ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს და განიხილება როგორც აბსოლუტური ხასიათის უფლება, რომლისგანაც გადახვევა აკრძალულია ნებისმიერ შემთხვევაში. ხსენებული უფლება დაცული და გათვალისწინებულია ადამიანის უფლებათა დაცვის მრავალი ინსტრუმენტით, მათ შორის ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით, კერძოდ კონვენციის მე-3 მუხლითა და საქართველოს

³⁰ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი.

კონსტიტუციის მე-17 მუხლით.³¹ ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით დაცული უფლების დარღვევების დასადგენად, პრობლემურ საკითხს წარმოადგენს იმ ქმედებათა კლასიფიკაცია, რომელთა განხორციელების დროსაც წარმოიშვება სავარაუდო დარღვევა, თუმცა ისინი გარემოებებიდან გამომდინარე, შეიძლება მოექცნენ ან არ მოექცნენ ამ მუხლის ფარგლებში. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავის სხვადასხვა გადაწყვეტილებებში ადგენს სტანდარტებს, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნენ პირის მიმართ განხორციელებული ღონისძიებებისას, რათა ისინი არ გაცდნენ, უფრო სწორად, არ მიაღწიონ სისასტიკის მინიმალურ ზღვარს.³² ხსენებულ საკითხებთან მიმართებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ერთ-ერთი წამყვანი საქმეა ჯალო გერმანიის წინააღმდეგ³³, სადაც სასამართლომ დაადგინა მე-3 მუხლის დარღვევა. სასამართლომ ჩათვალა, რომ ის ქმედებები, რომლებიც ჯალოს მიმართ განხორციელდა, იყო სისასტიკის მხრივ იმ დონის, რომ ისინი ჩაითვალა არაადამიანურად და ღირსების შემლახვევად. ხსენებულ საქმესთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ სასამართლომ არ დაადგინა, რომ განხორციელდა წამება, თუმცა ამას მრავალი კრიტიკა მოჰყვა, მათ შორის თავად საქმის განმხილველი მოსამართლეები თავიანთ განსხვავებულ აზრებში აფიქსირებდნენ, რომ სასამართლო უფრო შორს უნდა წასულიყო საქმეში განხორციელებული ქმედებების შეფასებისას. სასამართლომ ჯალოს მიმართ განხორციელებული ქმედებების შეფასებისას, ქმედებები ჩათვალა არაადამიანურად, ვინაიდან ისინი იყვნენ წინასწარ განზრახული, გაგრძელდნენ საათების მანძილზე და გამოიწვიეს როგორც სხეულის დაზიანება, ასევე ღრმა ფიზიკური და სულიერი ტკივილი, ხოლო მოპყრობა ჩაითვალა ღირსების შემლახველად, ვინაიდან

³¹ იხ. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლი.

³² იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე, Price v. U.K. პუნქტი 24, საქმე ნ. 33394/96; ასევე იხ. გადაწყვეტილება საქმეებზე, Mousiel v. France, პუნქტი ნ. 37; გადაწყვეტილება საქმეზე Naumenko v. Ukraine, პუნქტი ნ. 108; გადაწყვეტილება საქმეზე Klaas v. Germany, პუნქტი ნ. 30.

³³ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე, Jalloh v. Germany, საქმე N:54810/00;

ისინი იწვევდნენ შიშს, წვალეზასა დამცირებულობის გრძნობებს, რასაც შეეძლო შეურაცხყოფა და ღირსების შელახვა, ასევე ფიზიკური და მორალური წინააღმდეგობის გრძნობის გატეხვა ან როდესაც ისინი იყო იმგვარი, რომ უბიძგა პირს ემოქმედა საკუთარი ნებისა და სინდისის საწინააღმდეგოდ. ხსენებული შეფასებები სასამართლომ ჩამოაყალიბა ლაბიტას, ჰურტადოსა და ე.წ. "ბერძნულ საქმეზე" საქმეებზე³⁴. ლაბიტას საქმეზე სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ განხორციელებული ქმედება "არაადამიანურად" ან "ღირსების შემლახველად" ჩათვლება იმ შემთხვევაში, თუ ისინი სცილდება მოპყრობის კანონიერ ფორმებს, რაც გულისხმობს კანონით დადგენილი და გათვალისწინებული ქმედებათა სახის გადაცილებას, და რიგ შემთხვევებში, კანონით დადგენილი ქმედების განუხორციელებლობაც ჩათვლება დარღვევად, მაგალითად პირისთვის საკვების მიუწოდებლობა. მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებულისგან სამედიცინო თუ სხვაგვარი ჩარევით მტკიცებულების მოპოვება კანონიერია, ისინი უნდა განხორციელდეს მკაცრად განსაზღვრულ ჩარჩოებში, ისინი უნდა იყვნენ დამარწმუნებლად დასაბუთებული, კონკრეტული საქმის გარემოებებზე დაყრდნობით. ნევმერზიტსკის საქმეზე სასამართლო აღნიშნავს, რომ ბრალდებულის მიმართ განხორციელებულ ქმედებას, არ უნდა ახლდეს რაიმე რისკი, მისი ჯანმრთელობის მიმართ. სასამართლო ჯალოს საქმეში (პუნქტი 71) აღნიშნავს, რომ როდესაც ქმედება მიზნად ისახავს ბრალდებულისგან მტკიცებულების ამოღებას, კერძოდ მისი სხეულიდან, გარდა იმისა, რომ განსაკუთრებული ყურადღებით უნდა შეფასდეს ყველა გარემოება, ასევე ყურადღება უნდა მიქცეს ჩადენილი ქმედების, დანაშაულის სერიოზულობას, ეს კი საკმაო კრიტიკის ობიექტია, ვინაიდან კრიტიკოსები, მათ შორის საქმის განმხილველი ზოგიერთი მოსამართლე თავიანთ განსხვავებულ აზრში, აფიქსირებს რომ მნიშვნელობა არ აქვს დიდ

³⁴ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: *Labita v. Italy*, 06.04.2000, საქმე ნ. 26772/95; იხ. *Hurtado v. Switzerland*, პ. 280, 28.01.1994, საქმე ნ. 280; იხ. *Denmark, Norway, Sweden and the Netherlands v. Greece*, საქმის ნომრები: 3321/67, 3322/67, 3323/67, 3344/67;

ნარკოდირთან გვაქვს საქმე, თუ ნარკოტიკებით მცირე მოვაჭრესთან, დანაშაული ნებისმიერ შემთხვევაში უნდა დაექვემდებაროს ერთი სიმკაცრის სამართალწარმოებას. ბოლოს ხსენებული მოსაზრება არ არის გათვალისწინებული სასამართლოს გადაწყვეტილებაში და ნაწილობრივ მეც ვეთანხმები იმას, რომ არ შეიძლება ყველაზე საშინელი ქმედების ჩამდენი დამნაშავეც კი დაექვემდებაროს კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული უფლებების დარღვევას, ანუ დანაშაულის ხასიათის გათვალისწინება, ბრალდებულის მიმართ გამოსაყენებელი ქმედების განსასაზღვრად, განსახილველი საქმის კონტექსტიდან გამომდინარე, ჩემი აზრით არ არ არის სწორი და ნებისმიერ შემთხვევაში, სახელმწიფო ორგანოების ქმედებები მკაცრად უნდა მოექცნენ კანონის ფარგლებში და არ მიაღწიონ სისასტიკის მინიმალურ ზღვარს.

ბრალდებულისგან მტკიცებულების მოპოვებისას, მის სხეულზე შემოქმედებისას, ღონისძიებები უნდა ჩატარდეს ექიმის ნებართვით, ხელმძღვანელობითა და პირი უნდა იყოს მუდმივი სამედიცინო მეთვალყურეობის ქვეშ.³⁵ საქმეთა გარემოებების შეფასებისას, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, დასრულდა თუ არა ბრალდებულის უფლებებში ჩარევა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებით ან რაიმე თანმდევი შედეგით. პირის მიმართ განხორციელებული ჩარევა, თერაპევტული მიზნებით განხორციელების დროსაც კი, არ უნდა აღწევდეს სისასტიკის მინიმალურ ზღვარს, პირმა არ უნდა განიცადოს სერიოზული ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა იძულებით სამედიცინო ჩარევისას.

2.2 თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება

³⁵ მაგალითისთვის იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: Jalloh v. Germany. საქმე N:54810/00, პ. 73-74;

ჩვენთვის ცნობილია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია წარმოადგენს საერთაშორისო ხელშეკრულებას, რომლის მონაწილე საქართველოცაა. ევროპული კონვენცია საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი სამართლის წყაროა და იქი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საქართველოს კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაზე. ევროპული კონვენცია წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის ნაწილს და მას მინიჭებული აქვს საქართველოს ნორმატიულ აქტებზე მაღალი იერარქიული ადგილი, შესაბამისად ადამიანის უფლებებზე საუბრისას, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გაკეთებული განმარტებებისა და დადგენილი სტანდარტების გამოყენება და სწორად გაგება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი და აუცილებელია, ვინაიდან სწორედ სასამართლო პრაქტიკა იძლევა საშუალებას აღმოიფხვრას და სწორად იქნას გაგებული კონვენციასთან დაკავშირებულ საკითხებზე მრავალი ბუნდოვანება. კონვენციის ტექსტის წაკითხვისას, მუხლის ჩანაწერი თითქოს მარტივად გასაგებია, მაგრამ პრაქტიკაში იგი მრავალ პრობლემურ გარემოებას წარმოქმნის. პირველ რიგში უნდა დადგინდეს ის კომპონენტები, რომლებსაც კონვენციის მუხლის ჩანაწერი მოიცავს. წარმოდგენილი ნაშრომის ამ მოცემული ქვეთავიდან გამომდინარე, ჩვენ ვიმსჯელებთ კონვენციის მე-8 მუხლთან დაკავშირებულ იმ საკითხებზე, რომლებიც ქმედების ობიექტს წარმოადგენენ ბრალდებულზე განხორციელებული იძულების ღონისძიების გამოყენებისას კერძოდ, მისგან მტკიცებულების მოპოვებისას.

ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი ანიჭებს პირებს გარკვეულ უფლებებს, კერძოდ ამ მუხლის 1-ლი ნაწილი. მე-2 ნაწილი კი ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ამ უფლებებში ჩარევის მართლზომიერების პირობებს, კერძოდ: კანონის შესაბამისად, ლეგიტიმური მიზნის არსებობა, დემოკრატიულ საზოგადოებაში ჩარევის აუცილებლობა. სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული ჩარევის მართლზომიერების შეფასება

სწორედ ამ პირობების გათვალისწინებით ხდება და ეროვნულმა სასამართლოებმაც სწორედ ასე უნდა შეაფასონ ხსენებულ უფლებაში ჩარევის საკითხი.

სანამ გადაწყდება ჩარევის მართლზომიერების საკითხი, აუცილებელია დადგინდეს, ექცევა თუ არა კონკრეტული საკითხი განსახილველი მე-8 მუხლით დაცულ სფეროში, შემდეგ უნდა დადგინდეს მოხდა თუ არა ჩარევა შესაბამის სფეროში და ამის შემდეგ დადგეს მართლზომიერების საკითხი.

დაცულ უფლებაში ჩარევა გათვალისწინებული უნდა იყოს კანონით. ლეგიტიმური და “დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი” ქმედება, საბოლოოდ, სასამართლოს შესაფასებელი და დასადგენია. ევროპული სასამართლო ადგენს, რომ კონვენციით გათვალისწინებულ მუხლთა ის პუნქტები, რომლებიც ითვალისწინებს გამონაკლისებსა და უშვებს უფლებებში ჩარევას, შეზღუდულად უნდა განიხილოს. სასამართლო ამ პოზიციას აფიქსირებს საქმეში ჰენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ³⁶ (პუნქტი 48). სწორედ ამ პუნქტშივე აღნიშნა სასამართლომ, რომ სახელმწიფოებს აქვთ გარკვეული თავისუფლება ადამიანის უფლებათა შეზღუდვის მიზანშეწონილობაზე, “ვინაიდან სახელმწიფოები უკეთეს მდგომარეობაში არიან, თავიანთი სახელმწიფოს სასიცოცხლო საწყისებთან მუდმივი კონტაქტის გამო”.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არ კრძალავს დამნაშავის მიმართ იძულების ღონისძიების გამოყენებას, რაც გულისხმობს მათ კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებულ უფლებებში ჩარევას, თუმცა იგი ადგენს, რომ ჩარევა არ უნდა გასცდეს საჭირო ფარგლებს, შეზღუდვის სხვა საშუალებებთან შედარებით უნდა იყოს ყველაზე მსუბუქი და არ უნდა გამოიწვიოს ადამიანის სხვა უფლებათა შეზღუდვა, რა თქმა უნდა არაკანონიერ შეზღუდვაზეა საუბარი. მსგავსი გარემოებებია საქმეში ჯალო

³⁶ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1976 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: Handyside v. U.K.. საქმე N: 5493/72, პ. 48;

გერმანიის წინააღმდეგ³⁷, სადაც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დარღვევა დაადგინა მე-3 მუხლთან დაკავშირებით (ევროპული კონვენციის) თუმცა მას არ უმსჯელია მე-8 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით და ეს საკითხი მან ღიად დატოვა, რაზეც მან აღნიშნა, რომ მე-8 მუხლის დარღვევაზე საუბარი საჭირო აღარ იყო, ვინაიდან დადგენილი იყო მე-3, აბსოლუტური უფლების დარღვევა. აღსანიშნავია, რომ ჯალოს მიმართ განხორციელებული ქმედება, თავისი მიზნებიდან გამომდინარე, (უძლუბებით ღებინების გამოწვევა, მისი სხეულიდან მტკიცებულებების ამოსაღებად) იყო მე-8 მუხლით დასაშვები, თუმცა ქმედებათა ხასიათი და გარემოებები, მისი 4 პირის მიერ გაკავება, ცხვირის გავლით კუჭამდე ზონდის შეყვანა და ამოსაღებინებელი საშუალების შეყვანა, მთლიანობაში გადადიოდა მე-3 მუხლით დაცულ სფეროში. კონვენციის მე-8 მუხლით პირის სხეულებრივი მთლიანობა და ხელშეუხებლობა არის გარანტირებული, თუმცა არა აბსოლუტური ხასიათით, ჯალოს მიმართ გამართლებული ქმედებების განხორციელების შემთხვევაში, რომლებიც არ მიაღწევდნენ სისასტიკის მინიმალურ დონეს, სასამართლო არ დაადგენდა დარღვევას. შესაძლებელი იქნებოდა ქმედების მე-8 მუხლის ფარგლებში მოქცევაც, თუ გარემოებები იქნებოდა განსხვავებული, მაგალითად ჯალოს მიერ გადაყლაპული ნარკოტიკის შემცველი პაკეტები იქნებოდა გახსნილ მდგომარეობაში და განხორციელებული ქმედება იქნებოდა ერთადერთი ალტერნატივა მისი სიცოცხლის გადასარჩენად. საქმეში რ.ს. უნგრეთის წინააღმდეგ³⁸, პირი დააკავეს მისგან ანალიზების აღების მიზნით, რათა დაედგინათ მისი მდგომარეობა ავტომობილის მართვისას (კერძოდ სიმთვრალე), სასამართლო აღნიშნავს, რომ პირისგან ნებისმიერი სამედიცინო ჩარევა პირისგან იძულებით მტკიცებულების მოპოვებისას, დამაჯერებლად გამართლებული უნდა იყოს კონკრეტული საქმის გარემოებებით. რ.ს.-ს

³⁷ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: Jalloh v. Germany, საქმე N:54810/00;

³⁸ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2019 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: R.S. V. Hungary, საქმე N:65290/14;

საქმეში სახელმწიფო ორგანოს წარმომადგენლებმა ექიმს მიუთითეს, სისხლის ანალიზის გაკეთების შემდეგ, მაინც აელო პირისგან შარდის ნიმუში, მიუხედავად პირისგან წინააღმდეგობის გაწევისა. თავად ის ხერხი, რომლის საშუალებითაც მოხდა ნიმუშის აღება, კერძოდ კათეტერიზაცია არათერაპევტული მიზნებისთვის, ანუ სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლებმა მოახდინეს პირის ფიზიკურ და გონებრივ მთლიანობაში ჩარევა მისი ნების წინააღმდეგ, რაც შეფასდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევად, ეს ყველაფერი იმის ფონზე, რომ აღებული სისხლის ნიმუშით მსგავსი ქმედების განხორციელება საჭირო აღარც იყო მისი მდგომარეობის დასადგენად.

ამ კონკრეტულ ქვეთავთან დაკავშირებით, ზემოთ მოყვანილი მაგალითების ფონზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კანონიერი მიზნების არსებობისას პირის კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ უფლებებში ჩარევა დასაშვებია, თუმცა იგი უნდა მოხდეს კანონით გათვალისწინებული ზომების მკაცრი დაცვით, ვინაიდან მცირე გადაცდომამაც კი შეიძლება გამოიწვიოს პირის უფლებების გაუმართლებელი დარღვევა.

თავი III

მტკიცებულებები, მათი ადგილი და მნიშვნელობა სისხლის სამართლის პროცესში

ყველა იმ სახელმწიფოში, რომელიც ცდილობს დაიცვას დემოკრატიულობისა და სამართლებრივ-სახელმწიფოებრივი პრინციპები, მიუხედავად მათ სამართლებრივ სისტემებსა და კანონებში გათვალისწინებული ინკვიზიციურობის განსხვავებული დონისა - აღიარებს მტკიცებულებათა განსაკუთრებულ როლს სისხლის სამართლის პროცესში, და არამარტო. სასამართლო პროცესის ინკვიზიციურობის ხარისხის კლებასთან ერთად იზრდება მტკიცებულებათა როლი პროცესში. საქართველოში არსებული ამჟამინდელი მდგომარეობით, პროცესის ინკვიზიციურობა მინიმუმამდეა დაყვანილი და სასამართლო მაქსიმალურად ცდილობს დაიცვას მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი, რომლის ფონზეც მთლიანად მხარეებზეა დამოკიდებული, თუ რა მტკიცებულებები წარედგინება სასამართლოს შესაფასებლად. სასამართლო პროცესზე მოსამართლე გამოდის ნეიტრალური არბიტრის სახით, რომელიც წარმოდგენილ მტკიცებულებებს აფასებს მთლიანობაში და მხოლოდ ამის შემდეგ წყდება მტკიცებულებათა “მტკიცებულებითი” ძალა, ანუ მტკიცებულებებს წინასწარ განსაზღვრული ძალა არ გააჩნიათ.

ზემოხსენებული სასამართლოს ნეიტრალურობა, ყოველ რიგ შემთხვევაში, არ შეიძლება შეფასდეს დადებითად და ვფიქრობ რიგ გარემოებებში საჭიროა მეტი ინკვიზიციურობა, მაგალითად მოწმის დაკითხვისას მოსამართლეს არ აქვს კითხვის დასმის უფლება, მხარეთა ნებართვის გარეშე, რამაც შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს საქმეზე ობიექტური ქვემარტივების დადგენის საკითხი. ამას ემატება შეჯიბრებით პროცესში მხარეთა როლი, რომელიც შეიცავს საკმაოდ ლოგიკურ რისკს, რასაც ჰქვია

განსხვავება მხარეთა კომპეტენტურობაში. მიუხედავად ყველაფრისა, სახელმწიფოში არსებული საზოგადოების მხრიდან სასამართლო სისტემის მიმართ ნდობის მაჩვენებლის გათვალისწინებით, ვფიქრობ ჯერ-ჯერობით გამართლებულია სასამართლოს მაქსიმალური ნეიტრალურობა.

მტკიცებულებათა მნიშვნელობას სასამართლო პროცესისთვის, მათი როლი განსაზღვრავს. მტკიცებულებათა მნიშვნელობა უმნიშვნელოვანესია, ვინაიდან სწორედ მათი შინაარსი ახდენს გავლენას და მათზე დაყრდნობით გამოაქვს სასამართლოს განაჩენი, ხოლო მტკიცებულება რომ გამოყენებული იქნეს სასამართლოს მიერ, იგი უნდა იყოს დასაშვები, თუმცა რიგ განსაკუთრებულ შემთხვევებში შესაძლებელი და გამართლებული, სამართლიანი იქნება დაუშვებელი მტკიცებულების გამოყენებაც, როცა მისი გამოყენებლობა აშკარად უსამართლოა, რაც ასევე სასამართლოს შესაფასებელია.

მიუხედავად მათი დასაშვებობისა, ჩვენ უნდა განვასხვავოთ მტკიცებულებათა სახეები, მატერიალური და არამატერიალური. შესაბამისად: მატერიალური მტკიცებულებაა ფიზიკური ფორმის არ მქონე ინფორმაცია, ცოდნა, ხოლო მატერიალურია ფიზიკური, ხელშესახები ინფორმაციის წყარო. წარმოდგენილი ნაშრომის განხილვის საგანს წარმოადგენს ორივე, მატერიალურიც და არამატერიალურიც, ვინაიდან ბრალდებულის ნების საწინააღმდეგოდ მისგან მოპოვებული შეიძლება იქნეს როგორც არამატერიალური ინფორმაცია, ანუ ბრალდებულის გონებაში არსებული ცოდნის მოპოვება მისი იძულების გზით, დაარღვიოს დუმის უფლება, ან მისი მოტყუებით, მისი უფლებების შესახებ ინფორმაციის მიუწოდებლობით ან სხვაგვარი, თუნდაც პასიური იძულებითა და მისი ნების სხვაგვარი შეზღუდვით, მაგალითად ინფორმატორის შეგზავნით, რომელიც ბრალდებულთან დაახლოებასა და მისგან ინფორმაციის მიღებას შეეცდება. აღსანიშნავია, რომ არამატერიალური ინფორმაცია, არ არსებობს ბრალდებულის ნებისგან დამოუკიდებლად, როდესაც მის მიღებას თავად ბრალდებულისგან

ვცდილობთ და იგი არ წარმოადგენს ფარული საგამომიებო ან ოპერატიული ღონისძიების შედეგად მოპოვებულ ინფორმაციას. ასევე მატერიალური მტკიცებულებაც, რომელიც ჩვენთვის საინტერესო შემთხვევაში, იძულებით, მაგალითად ნიმუშის ბრალდებულის ნებართვის გარეშე აღებით შეიძლება და კონკრეტულ ინფორმაციის შემცველ ობიექტამდე მივყავართ.

3.1 დაუშვებელი მტკიცებულებები და მათი შეფასება

როგორც ნაშრომში უკვე აღინიშნა, მტკიცებულებათა შეფასებისა და გამოყენების საკითხის გადაწყვეტა ეროვნული სასამართლოების პრეროგატივაა და ევროპული სასამართლო ამ ნაწილში არ ერევა და მათთან დაკავშირებულ საკითხებს მხოლოდ კონვენციის მე-6 მუხლის ფარგლებში, სამართლიანი სასამართლოს უფლების კონტექსტში განიხილავს.

სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი, სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, შეიმუშაოს მტკიცების წესი, რომელიც უზრუნველყოფს საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების უტყუარად დადგენას, კონკრეტული პირის სამართლიან მსჯავრდებას საქართველოს კანონმდებლობის და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართლის სტანდარტების შესაბამისად მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე.

საქართველოს სისხლის სამართლის 72-ე მუხლი ადგენს მტკიცებულებათა დასაშვებობის კრიტერიუმებს და მიუთითებს, რომ დაუშვებელი მტკიცებულება არ შეიძლება საფუძვლად დაედოს სასამართლო გადაწყვეტილებას (72-ე მუხლის მე-6 ნაწილი).

არსებით დარღვევას წარმოადგენს კანონის გაუმართლებელი დარღვევა, ნაშრომის კონტექსტიდან რომ ვთქვათ, არსებით დარღვევად შეიძლება ჩაითვალოს ადამიანის უფლებაში ჩარევის გაუმართლებელი ფაქტი. სასამართლო თავად იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მტკიცებულების დასაშვებობასთან დაკავშირებით და შესაბამისად ადგენს, იქნება თუ არა მტკიცებულება გამოყენებული სასამართლოს მიერ.

აღსანიშნავია, რომ სსსკ-ის 72-ე მუხლი ადგენს მტკიცებულებათა დასაშვებობის ზოგად კრიტერიუმებს და კანონმდებელი სსსკ-ის ცალკეულ მუხლებში მიუთითებს იმ გარემოებებზე, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც შესაძლებელია დაუშვებლად იქნეს ცნობილი სხვადასხვა მტკიცებულებები.

სისხლის სამართლის პროცესის მთავარ მიზანს არ წარმოადგენს აბსოლუტური ჭეშმარიტების დადგენა, ჭეშმარიტება დადგენილი უნდა იქნეს მხოლოდ პროცესუალურად, კანონით გათვალისწინებული საშუალებებით, შესაბამისად მტკიცებულება იქნება დაუშვებელი, თუ იგი ვერ პასუხობს კანონის მოთხოვნებს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის ნომერ 2/2/579 გადაწყვეტილებით³⁹ არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი სსსკ-ის 72-ე მუხლის სიტყვები “ამ კოდექსით”, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-7 პუნქტთან მიმართებით, რაც საბოლოო შედეგად იძლევა იმას, რომ სასამართლომ სისხლის სამართლის პროცესში მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხის შეფასებისას, უნდა გაითვალისწინოს არა მხოლოდ სსსკ-ით გათვალისწინებული მოთხოვნები მტკიცებულებათა მოპოვების საკითხში, არამედ მტკიცებულებათა მოპოვების გზების შესაბამისობა სხვა საკანონმდებლო აქტებთან, მათ შორის საერთაშორისო ხელშეკრულებთან, სადაც თავისთავად ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციაც იგულისხმება.

³⁹ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის N: 2/2/579 გადაწყვეტილება. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: matsne.gov.ge;

სსსკ-ის 72 მუხლი ადგენს, რომ დაუშვებელია კანონის არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების გამოყენება და მის საფუძველზე მოპოვებული სხვა, თუნდაც კანონიერი მტკიცებულების გამოყენება იმ შემთხვევაში, თუ იგი აუარესებს ბრალდებულის მდგომარეობას და მისი ინტერესების მიმართ ატარებს უარყოფით გავლენას. ესპ რინციპი ე.წ. “მოწამლული ხილის ნაყოფის” ამერიკული დოქტრინის ანალოგია. აღსანიშნავია, რომ ხსენებული პრინციპი უშვებს დაუშვებელი მტკიცებულების საფუძველზე მოპოვებული მტკიცებულების ბრალდებულის სასარგებლოდ.

ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე, ჩვენთვის საინტერესოა მხოლოდ მტკიცებულებათა დაუშვებლობის საკითხი და იმის დადასტურება, რომ ბრალდებულის ნების საწინააღმდეგოდ მოპოვებული მტკიცებულება დაუშვებლობის საფუძველია მაშინ, როდესაც იგი სცდება კანონის ფარგლებს, არის აშკარა კანონის უხეში დარღვევა და მისი გამოყენება პრობლემურია

მოცემული ქვეთავის ბოლოს აუცილებელია ვახსენოთ, რომ ზემო აბზაცში მოცემული დაუშვებელი მტკიცებულება სასამართლომ უნდა განიხილოს ამ ქვეთავშივე ხსენებული პრინციპის დაცვით კერძოდ, უნდა შეფასდეს არა მარტო მტკიცებულების მოპოვების გზის შესაბამისობა საპროცესო კოდექსთან, არამედ საერთაშორისო ხელშეკრულებებთან, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტებთან. ამასთან, აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული დაცვის ინტერესი და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის საჯარო ინტერესი. საბოლოო ჯამში ყველაფერი სასამართლოს შესაფასებელია და მტკიცებულების დაუშვებლად ცნობისას მან უნდა გამოიტანოს დასაბუთებული გადაწყვეტილება.

და ბოლოს, აღნიშვნას საჭიროებს ის ფაქტიც, რომ დაუშვებელი მტკიცებულების გამოყენება სხვადასხვა გზებით მაინც შესაძლებელია, მაგალითად კანონდარღვევით მოპოვებულ ინფორმაციაზე მხარეთა შეთანხმებით, რაც მას პრეიუდიციულ ძალას მიანიჭებს. ეს ყველაფერი შესაძლებელია, ვინაიდან დარღვევით მოპოვებული ინფორმაციის გამოყენება, რომელიც დაუშვებელი მტკიცებულების ძალის მქონეა მისი გამოყენებადობით, შეიძლება შედიოდეს დაცვის ინტერესებში და მას მოიცავდეს დაცვის სტრატეგია.

3.2 ბრალდებულის ნების საწინააღმდეგოდ მტკიცებულებების მოპოვება და მათი გამოყენება

ნაშრომში უკვე ვისაუბრეთ იმ უფლებების შესახებ, რომლებიც შეიძლება გახდნენ ხელყოფის ობიექტი ბრალდებულის მიმართ განხორციელებული მისი ნების საწინააღმდეგო ქმედებების შედეგად. ნაშრომის მიზანია როგორც ბრალდებულის ნების საწინააღმდეგოდ მტკიცებულების მოპოვების შედეგებზე საუბარი, ასევე იმ კონკრეტულ საშუალებებზე საუბარი, რომელთა მეშვეობითაც ხდება ბრალდებულისგან მტკიცებულების მოპოვება და შემდგომ მისი გამოყენება.

ბრალდებულის მიმართ შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა საგამომიებო ან საპროცესო მოქმედებები, რომელთა საბოლოო მიზანს წარმოადგენს მტკიცებულებების მოპოვება და მათი გამოყენება საქმეზე. ასეთი მოქმედებებია: ბრალდებულის დაკითხვა და გამოკითხვა, ბრალდებულისგან ნიმუშის აღება, ჩხრეკა და ამოღება - ამოღება მისი სხეულიდან.

ზემოხსენებული ყოველი კონკრეტული შემთხვევა კანონით გათვალისწინებული და დასაშვებია, მათ შორის დასაშვებია ზოგიერთი მათგანის განხორციელება ბრალდებულის ნების მიუხედავად, თუმცა მათი განხორციელება კანონით არის გაწერილი. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს ზემოხსენებულ დონისძიებებს, მაგალითად 119-ე მუხლი ითვალისწინებს ამოღებისა და ჩხრეკის მიზნებსა და საფუძვლებს, 121-ე მუხლი ითვალისწინებს პირად ჩხრეკას, 147-ე მუხლის ნიმუშის აღებას, ხოლო 247-ე მუხლი ითვალისწინებს ბრალდებულის მიერ მიცემული ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენების წესებს. თითოეულ მათგანზე ცალ-ცალკე ვისაუბრებთ ნაშრომის მომდევნო თავში.

თავი IV

საპროცესო და სხვა საგამოძიებო მოქმედებები:

4.1 ბრალდებულისგან მოპოვებული ინფორმაცია და საქართველოს სსსკ-ის 247-ე მუხლის ანალიზი

სისხლის სამართლის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბრალდებულისგან მოპოვებულ ინფორმაციას. ბრალდებულისგან მიღებული ინფორმაციის გამოყენება კი სხვადასხვა სირთულეებთან არის დაკავშირებული. არ აქვს მნიშვნელობა ბრალდებული ბრალის წარდგენამდე მოწმის სახით იქნა დაკითხული, თუ მან ბრალდების წარდგენის შემდეგ მიაწოდა სახელმწიფო ორგანოს ინფორმაცია, თუ ბრალდებული უარს ამბობს მის მიერ მიწოდებული ინფორმაციის სასამართლო პროცესზე გამოკველვაზე, დაუშვებელია ამ ინფორმაციის გამოყენება და ეს ფაქტი არ შეიძლება შეფასდეს მისი ბრალეულობის დამადასტურებელ გარემოებად.

ბრალდებულის უფლებაა მიაწოდოს ან არ მიაწოდოს სახელმწიფო ორგანოს ინფორმაცია, რასაც უზრუნველყოფს დუმის უფლება, რომლის დასარღვევად პირის იძულებაც დაუშვებელია.

ბრალდებულის მიერ მის მიერ მიცემული ჩვენების შეცვლა, ვერ ჩაითვლება მისი ბრალეულობის დამადასტურებელ გარემოებად. ეს გარემოება შედეგად იღებს იმას, რომ ბრალდებულის სასამართლო პროცესზე დაკითხვისას, მიუხედავად იმისა რომ მას ხშირ შემთხვევასი აფრთხილებენ არასწორი ინფორმაციის მიწოდების სამართლებრივ შედეგებთან დაკავშირებით. რეალურად ეს გაფრთხილება ბრალდებულის მიმართ შედეგს ვერ გამოიღებს და არ დადგება ბრალდებულის პასუხისმგებლობის საკითხი, ვინაიდან მას ვერ დავავალდებულებთ ხელი შეუწყოს საქმეზე

ქეშმარიტების დადგენას, საკუთარ მსჯავრდებას ან მის მიმართ სხვა მისთვის არასასურველი შედეგების დადგომას.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 247-ე მუხლი⁴⁰ ადგენს, რომ თუ ბრალდებული წინააღმდეგია, დაუშვებელია მის მიერ გამოკითხვის დროს მიცემული ინფორმაციის სასამართლო სხდომაზე საჯაროდ წაკითხვა, დემონსტრირება და შესაბამისად გამოკვლევა, რაც ამ ყველაფრის შედეგად ვეღარ იქნება მტკიცებულებად გამოყენებული. სსსკ-ის 247-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ამ მუხლის პირველ ნაწილში გათვალისწინებული გარემოებები არ ვრცელდება იმ ინფორმაციაზე, რომელიც ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ან ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად იქნა მოპოვებული. სსსკ-ის 247-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული გამონაკლისი გამომდინარეობს იქიდან, რომ ოპერატიულ-სამძებრო ან ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია არსებობს ბრალდებულის ნებისგან დამოუკიდებლად, ანუ ბრალდებულზე არ ხორციელდება არანაირი ზემოქმედება და მისი ნების იმგვარი შზღუდვა, რომ მისი ნების თავისუფლებაზე იყოს დამოკიდებული ინფორმაციის მოპოვება. ზემოსენებული ფარული საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიებები, რა თქმა უნდა, წარმოადგენენ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლში ჩარევას, თუმცა ისინი წარმოადგენენ კანონით მკაცრად გაწერილ ღონისძიებებს, რომლებიც ექვემდებარებიან სასამართლო შემოწმებას და იმ გარემოებებთან ერთად, რომ ისინი წარმოადგენენ სახელმწიფო ორგანოების უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს დანაშაუთან ბრძოლაში, ისინი წარმოადგენენ მტკიცებულებათა მოპოვების კანონიერ და მისაღებ ხერხებს. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ სსსკ-ის 247-ე მუხლში საუბარია ბრალდებულის მიერ მოწმის სტატუსით მიწოდებულ ინფორმაციაზე, ანალოგიური აკრძალვა ვრცელდება ბრალდებულის

⁴⁰ იხილეთ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 247-ე მუხლი. 2020 წლის 15 ივლისის მდგომარეობით.

სტატუსით მიწოდებულ ინფორმაციაზეც. ეს ყველაფერი გამომდინარეობს სსსკ-ის 74-ე მუხლის მე-3 ნაწილიდან, რომლითაც გათვალისწინებულია, რომ ბრალდებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის ან ცრუ ჩვენების ფაქტი არ შეიძლება შეფასდეს მისი ბრალეულობის დამადასტურებელ გარემოებად.

სსსკ-ის 247-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული გამონაკლისი გამომდინარეობს იმ გარემოებიდან, რომ ასეთი ღონისძიების მიზანს თავიდანვე წარმოადგენს ბრალდებულისგან ინფორმაციის მოპოვება მისგან ფარულად, მის დანაშაულში სამხელად. შესაბამისად ამ გზით მოპოვებული ინფორმაცია არც შემდეგში საჭიროებს ბრალდებულის ნებართვას, განსხვავებით ბრალდებულის მიერ საკუთარი ნებით მიწოდებული ინფორმაციისგან. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ სასამართლომ, საქმეზე პ.გ და ჯ.ჰ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ⁴¹, დაადგინა, რომ საიდუმლოდ, ფარულად ჩაწერილი ინფორმაციის გამოყენება სასამართლო პროცესზე, არ ეწინააღმდეგება ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პუნქტს.

4.2 ნიმუშის აღება და საქართველოს სსსკ-ის 121-ე და 147-ე მუხლების ანალიზი

ამ ქვეთავში განხილულია ნიმუშის აღება და ბრალდებულისგან მტკიცებულების ამოღება. მართებული იქნება საუბარი დავიწყოთ სსსკ-ის 121-ე მუხლზე⁴², რომლის მიზანსაც წარმოადგენს იმგვარი შემთხვევების დარეგულირება, როდესაც პირადი ჩხრეკის აუცილებლობა სხვა

⁴¹ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2001 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: P.G. and J.H. v. U.K. საქმე N:44787/98;

⁴² იხილეთ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 121-ე მუხლი. 2020 წლის 15 ივლისის მდგომარეობით.

საგამომიებო მოქმედების ჩატარებისას წარმოიშვა,⁴³ კონკრეტულად კი ჩხრეკისა და ამოღების დროს. სსსკ-ის 121-ე მუხლის გამოყენებას საფუძვლად უდევს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირმა დამალა საქმისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველი ობიექტი. ნაშრომის მიზნებისთვის, ამ მუხლზე საუბარი ემსახურება იმ ფაქტს, რომ საქმისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველი ობიექტის ამოღება შესაძლებელია პირის სხეულიდან. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ ნიმუშის აღებისაგან განსხვავებით, რომელიც გათვალისწინებულია სსსკ-ის 147-ე მუხლით და წარმოადგენს საპროცესო მოქმედებას, 121-ე მუხლი წარმოადგენს საგამომიებო მოქმედებას.

მეტი თვალსაჩინოებისთვის, სასარგებლო იქნება ისევე ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების მოშველიება, მაგალითად საქმეზე ჯალო გერმანიის წინააღმდეგ⁴⁴, პოლიციელებმა ჯალო დაინახეს მაშინ, როდესაც იგი ახორციელებდა ნარკოტიკის გაყიდვას. სამართალდამცავების დანახვისას ჯალომ გადაყლაპა მის ხელთ არსებული ნარკოტიკები და დამალა ისინი სხეულში, შესაბამისად სამართალდამცავებს, იქიდან გამომდინარე, რომ ჯალო დაინახეს ნარკოტიკების გასაღებისას, გააჩნდათ საჭირო ცოდნა და მიზეზი მის მიმართ საგამომიებო მოქმედების ჩასატარებლად და მისგან თანამშრომლობაზე მიღებული უარის შემდეგ გადაწყვიტეს იძულების გზით, მისი სხეულიდან საქმისათვის მნიშვნელოვანი ობიექტის ამოღება. ჩვენთვის საინტერესო სწორედ ის არის, რომ თავად ინფორმაციის მოპოვება კანონიერია, თუნდაც იგი იძულებით იყოს მოპოვებული, მთავარია იგი არ გასცდეს კანონით დადგენილ ზღვრებს.

⁴³ ნ. მეზერიშვილი, საქართველოს სიხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015 წლის მდგომარეობით, გ.ვ. 392.

⁴⁴ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: Jalloh v. Germany, საქმე N:54810/00;

რაც შეეხება ნიმუშის აღებას, იგი სსსკ-ის 147-ე მუხლით⁴⁵ არის გათვალისწინებული. ჩვენთვის საინტერესოა ის ფაქტი, რომ ეს მუხლი ითვალისწინებს ბრალდებულის ნების გათვალისწინებას, მაშინ, როდესაც საქმე ეხება ისეთ პროცედურას, რომლის შედეგადაც ბრალდებული განიცდის ძლიერი ტკივილის შეგრძნებას. თუ ნიმუშის აღება, იწვევს ძლიერი ტკივილის შეგრძნებას იმ პირის მიერ, რომლის მიმართაც ტარდება ეს საპროცესო ღონისძიება, დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ამ პირის თანხმობა. ნიმუშის აღების საფუძველია სასამართლო განჩინება, გამოტანილი სსსკ-ის 144-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული წესით, თუმცა ნიმუშის აღება შესაძლებელია განხორციელდეს გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაშიც, რასაც გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებისთვის გათვალისწინებული საერთო წესით, განიხილავს და შეაფასებს სასამართლო.

აღსანიშნავია, რომ დაუშვებელია ნიმუშის აღება იმ საშუალებით, რომელიც იწვევს ძლიერი ტკივილის შეგრძნებას გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველით, ასეთ შემთხვევაში ნებისმიერი გარემოების არსებობისას, საჭიროა სასამართლოსგან ნებართვა.

მართალია ნიმუშის აღება დასაშვებია პირის თანხმობით, მაშინაც კი, როდესაც იგი იწვევს ძლიერი ტკივილის შეგრძნებას, აუცილებელია შეფასდეს პროცედურის ჩატარებისას არსებული გარემოებები. ძლიერი ტკივილის შეგრძნების წარმომქმნელი ქმედების განხორციელებისას, ქმედების ხასიათმა არ უნდა მიაღწიოს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ მინიმალური სისასტიკის ზღვარს. თუ დადგინდება, რომ ნიმუშის აღებამ შესაძლებელია მიაღწიოს სისასტიკის ზემოხსენებულ სისასტიკის ზღვარს, მაშინ ასეთი ქმედების განხორციელება დაუშვებელია იმ პირის თანხმობის შემთხვევაშიც კი, რომლის მიმართაც ტარდება ნიმუშის აღება

⁴⁵ იხილეთ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 147-ე მუხლი. 2020 წლის 15 ივლისის მდგომარეობით.

თავი V

სასამართლო, საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებათა

პრაქტიკა

ნაშრომში განხილული საკითხების უფრო მეტად თვალსაჩინოებისთვის, ვფიქრობ მნიშვნელოვანია რამდენიმე უმნიშვნელოვანესი სასამართლო გადაწყვეტილების ნაშრომში ასახვა, რადგან როგორც უკვე აღვნიშნე, სასამართლოები სწორედ საკუთარი გადაწყვეტილებებით ახდენენ სხვადასხვა ბუნდოვანებების განმარტებასა, თუ დებულებათა გარშემო არსებულ კითხვებზე პასუხის გაცემას, ვინაიდან კანონის ტექსტი ხშირად არ ითვალისწინებს მისი რეგულაციის სფეროს გარშემო არსებული ყველა გარემოების მოწესრიგებას.

5.1 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს

მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები

Jalloh v. Germany/ჯალო გერმანიის წინააღმდეგ (11.7.2006, N:54810/00)

საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები: 1993 წლის 29 ოქტომბერს სამართალდამცავებმა შენიშნეს ჯალო მაშინ, როდესაც მან პირიდან 2 მცირე ზომის პაკეტი გამოიყო და სხვას გადასცა ფულის სანაცვლოდ.

საფუძვლიანი ეჭვის არსებობისას იმის შესახებ, რომ ეს პაკეტები შეიცავდნენ ნარკოტიკს, პოლიციელები მივიდნენ ჯალოსთან მის დასაკავებლად, რა დროსაც მან მის პირში არსებული სხვა პაკეტი გადაყლაპა. ვინაიდან მასზე ვერ აღმოაჩინეს ნარკოტიკები, პროკურორის ბრძანებით გადაწყდა მისთვის ღებინების გამომწვევი ნივთიერების მიცემა, რათა მისი სხეულიდან ამოეღოთ გადაყლაპული პაკეტი.

ვინაიდან ჯალომ ღებინების გამომწვევი საშუალების საკუთარი ნებით მიღებაზე უარი განაცხადა, იგი დააკავა ოთხმა პოლიციელმა, რა დროსაც ექიმმა სხვირის გავლულ კუჭამდე ზონდი შეუყვანა და ამ ზონდის

საშუალებით შეიყვანა მის კუქში მარილის ხსნარი და იპეკაკუანას სიროფი. მას ასევე გაუკეთეს აპომორფინი. ამ ღონისძიებების შედეგად ჯალომ ამოაღებინა კოკაინის შემცველი მცირე ზომის პაკეტი.

იძულებითი ღონისძიებიდან დაახლოებით 2 საათის შემდეგ ჯალომ განაცხადა, რომ იგი თავს ძალიან დაღლილად გრძნობდა და მის მიერ ჩადენილი ქმედების შესახებ იგი კომენტარს ვერ გააკეთებდა.

იმავე წლის 30 ოქტომბერს, ჯალო ბრალდებულად იქნა ცნობილი ნარკოტიკებით ვაჭრობისთვის. დაცვის მხარემ 3 მთავარი არგუმენტი წარმოადგინა მის დასაცავად: ჯალოს მიმართ მოპოვებული მტკიცებულებები მოპოვებული იყო კანონდარღვევით და ისინი არ უნდა გამოეყენებინათ სისხლის სამართლის სამართალწარმოებისას; სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებმა და იძულების ღონისძიებაში მონაწილე ექიმმა მას მიაყენეს სხეულებრივი დაზიანებები; განხორციელებული ღონისძიება (მტკიცებულების ამოღებისას) ეროვნული საპროცესო კოდექსით იყო არაპროპორციული, ვინაიდან ამ მტკიცებულების სხვა გზითაც, მაგალითად დალოდებით, სანამ ბუნებრივი გზით გამოეყოფოდა ნივთიერების შემცველი პაკეტი ბრალდებულის სხეულს.

ეროვნულმა სასამართლოებმა დაადგინეს, რომ ადგილი არ ჰქონია ჯალოს უფლებების დარღვევას ევროპული კონვენციის არც მე-3 მუხლის ფარგლებში და არც მე-6 მუხლის დარღვევას თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგიის კონტექსტში.

განმცხადებელმა ევროპულ სასამართლოში ჩიოდა, რომ მის მიმართ დაირღვა ევროპული კონვენციის მე-3, მე-6 და მე-8 მუხლები. მან განაცხადა, რომ მას ძალის გამოყენებით შეუყვანეს ამოსაღებინებელი საშუალებები და შესაბამისად, მისი რწმენით, არაკანონიერად მოიპოვეს მისგან მტკიცებულებები, რომლებიც მის წინააღმდეგ იქნა გამოყენებული სასამართლო პროცესზე.

სასამართლოს გადაწყვეტილება: მე-3 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით სასამართლომ განაცხა, რომ ცონვენცია ზოგადად არ კრძალავს ადამიანის მიმართ იძულებით სამედიცინო ჩარევას, რომელსაც დანაშაულის გამოძიების ინტერესები მოიცავს, თუმცა მტკიცებულების მოპოვების მიზნით ადამიანის ფიზიკურ მთლიანობაში ჩარევა უმკაცრეს კონტროლს უნდა დაექვემდებაროს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მან იცოდა, თუ რა პრობლემების წინაშე არიან სახელმწიფოები და თუ რა საფრთხეებს უქმნის ნარკოტიკებით ვაჭრობა საზოგადოებას, თუმცა განსახილველ საქმეში ნათელი იყო, რომ სადავო ზომა გამოყენებული იყო ისეთი პირის მიმართ, რომელიც ნარკოტიკებს პირში მალავდა, და შესაბამისად იგი ვერ განახორციელებდა ფართომასშტაბიან ნარკოტიკებით ვაჭრობას, შესაბამისად საჯარო ინტერესის კომპონენტი ხსენებული ზომის გამოყენებისა ნაკლები იყო. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ იგი უკმაყოფილო იყო სადავო ზომის გამოყენებით, ვინაიდან სახელმწიფო ორგანოს წარმომადგენლებს შეეძლოთ უბრალოდ დალოდებოდნენ ნარკოტიკის შემცველი პაკეტის ბრალდებულის სხეულისგან ბუნებრივ გამოყოფას, რაც წარმოადგენს ევროპის საბჭოს მრავალი წევრი სახელმწიფოს პრაქტიკას.

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ გამოყენებული სადავო ზომა, რომელმაც უკვე გამოიწვია გერმანიაში 2 ადამიანის სიკვდილი(პირღებინების გამომწვევი საშუალებების მიცემა), წარმოდგენილი იყო, როგორც სიცოცხლისთვის უმნიშვნელო საფრთხის შემცველი ღონისძიება, იმ ყველაფრის ფონზე, რომ გერმანიის ტერიტორიის დიდ ნაწილსა და მინიმუმ ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოთა უმეტესობაში, სახელმწიფო ორგანოები თავს იკავებენ ამოსაღებინებელი საშუალებების მიცემისგან, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ეს ღონისძიება რისკის ქვეშ აყენებს ადამიანის ჯანმრთელობას.

სასამართლომ გამოყენებულ ღონისძიებებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ სისასტიკის ზღვართან მყოფი ძალის გამოყენების შემდეგ, ცხვირის გავლით ზონდის გაკეთება მიმართული იყო განმცხადებლის ფიზიკური და გონებრივი წინაარმდეგობის გადალახვისკენ, რამაც მასში ტკივილი და ტანჯვა გამოიწვია. ამ ყველაფრის შემდეგ მის მიმართ კიდევ განხორციელდა სხეულებრივ მთლიანობაში შეჭრა მისი ნების წინააღმდეგ, როდესაც მის სხეულში შეიყვანეს აპომორფინი. გასათვალისწინებელია განმცხადებლის ტანჯვა იმ პერიოდში, როდესაც იგი ელოდებოდა მის შხეულში შეყვანილი ნივთიერებების ეფექტის დადგომას, რა დროსაც იგი კვლავ იგი კვლავ გაკავებული იყო პოლიციელების მიერ. ზემოხსენებული გარემოებებიდან გამომდინარე ნათელია, რომ ასეთ პირობებში იძულებით პირღებინება უფრო მეტად დამამცირებელი იქნებოდა მისთვის, ვიდრე დალოდება მისი სხეულისგან ნარკოტიკების შემცველი პაკეტის ბუნებრივ გამოყოფამდე.

საბოლოოდ კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით სასამართლომ დაასკვნა, რომ გერმანიის სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლების მხრიდან განხორციელდა განმცხადებლის უფლებებში მძიმე ჩარევა. განმცხადებელს აიძულეს ღებინება არა თერაპევტული მიზნებით, არამედ მისგან მტკიცებულებების ამოსაღებად, რაც უფრო სავსებით შესაძლებელი იყო უფრო მსუბუქი ჩარევითაც. სადავო ღონისძიების გამოყენებული სახე იყო იმგვარი, რომ იგი გამოიწვევდა განმცხადებელში შიშის, ტკივილისა და არასრულფასოვნების ისეთ გრძნობებს, რასაც შეეძლო მისი დამცირება და ღირსების შელახვა. გარდა ამისა, განხორციელებული ღონისზიება იყო ჯანმრთელობისთვის რისკების მატარებელი, არამხოლოდ იმიტომ, რომ არ შედგა ბრალდებულის ანამნეზი(მის მიერ ენის ცუდად ცოდნის, თუ კითხვებისთვის პასუხის გაცემის სურვილის არქონის გამო). მიუხედავად იმისა, რომ ეს არ წარმოადგენდა განზრახვას, რონისძიება განხორციელდა იმგვარად, რომ

ბრალდებულმა განიცადა ფიზიკური და გონებრივი ტანჯვა, შესაბამისად მის მიმართ დადგინდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა.

რაც შეეხება კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას, სასამართლომ ღიად დატოვა ეს საკითხი და განაცხადა, რომ განმცხადებლის საჩივარი მის მიმართ იძულების ღონისძიების გამოყენების თაობაზე სასამართლომ უკვე განიხილა კონვენციის მე-3 მუხლის ფარგლებში და იმის ფონზე, რომ სასამართლომ დაადგინა მე-3 მუხლის დარღვევა, მან ჩათვალა, რომ საკითხის მე-8 მუხლის კონტექსტში განხილვის საჭიროება აღარ არსებობდა.

კონვენციის მე-6 მუხლთან დაკავშირებით სასამართლომ განაცხადა, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ორგანოთა წარმომადგენლების განზრახვა არ ყოფილა განმცხადებლისთვის ტკივილისა და ტანჯვის მიყენება, მტკიცებულება მოპოვებული იყო კონვენციით გათვალისწინებული, ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი და უმნიშვნელოვანესი უფლების დარღვევის შედეგად. გარდა ამისა, სადავო ზმის გამოყენების შედეგად მოპოვებული ნარკოტიკები აღმოჩნდა გადამწყვეტი ელემენტი პირის მსჯავრდებაში. ამასთან, საზოგადოებრივი ინტერესი არ იყო იმ დონის, რომელიც გაამართლებდა ამ გზით მოპოვებული მტკიცებულების ბრალდებულის წინააღმდეგ სასამართლოში გამოყენებას. ზემოხსენებული გარემოებებიდან გამომდინარე, განმცხადებლისთვის ამოსაღებინებელი საშუალებების იძულებით მიცემის შედეგად მოპოვებული მტკიცებულების გამოყენებამ სასამართლო პროცესი მთლიანად უსამართლოდ აქცია.

სასამართლომ ასევე საჭიროდ ჩათვალა ეპასუხა განმცხადებლის არგუმენტისთვის, სადაც იგი ამბობდა, რომ მის მიმართ გამოყენებული მტკიცებულების მოპოვების წესი და ამის შედეგად მოპოვებული მტკიცებულების გამოყენება არღვევდა მის თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგიას. საქმეზე ცნობილი ყველა გარემოების ფონზე, სასამართლომ

აღნიშნა, რომ იგი მზად იქნებოდა დაედგინა, რომ იძულებით პირღებინების საშუალების მიცემის შედეგად მოპოვებული მტკიცებულების პირის სასამართლო პროცესზე მტკიცებულებად გამოყენება არღვევდა პირის უფლებას არ დაედანაშაულებინა საკუთარი თავი, რაც შედეგად გამოიწვევდა მთლიანად სასამართლო პროცესის უსამართლობას.

Saunders v. U.K./ საუნდერსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ
(17.12.1996, N:43/1994/490/572)

მოცემული გადაწყვეტილების მოკლე შეჯამება წარმოდგენილია იმ მიზეზით, რომ იგი შეიცავს ევროპული სასამართლოს მიერ თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგიასთან დაკავშირებულ უმნიშვნელოვანეს განმარტებებს.

საუნდერსის საქმე ეხება მის მიერ მიერ გამოძიების დროს მიცემული ინფორმაციის სასამართლოზე მის წინააღმდეგ გამოყენებას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია სამართლიანი სასამართლოს (კონვენციის მე-6 მუხლი) უმნიშვნელოვანესი ელემენტია და ეხება ყველა სახის სისხლისსამართლებრივ ღონისძიებას. იგი უმთავრესად კავშირშია ბრალდებულის დუმილის უფლებასთან. იმის დასადგენად, მოხდა თუ არა პირის უფლების ხელყოფა, არ დაიდანაშაულოს საკუთარი თავი, დამოკიდებულია მის მიერ მიწოდებული ინფორმაციის სასამართლო პროცესზე გამოყენებაზე, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა ეს ინფორმაცია იმგვარი ხასიათის, რომელიც მისი ინტერესების წინააღმდეგ იყო მიმართული შინაარსობრივად. ვინაიდან პროკურატურა ცდილობდა მის მიერ მიწოდებული ინფორმაციის მის წინააღმდეგ იმგვარ გამოყენებას, რომელიც მიზნად ისახავდა მის ინკრიმინაციას, ამით სასამართლომ ჩათვალა, რომ დაირღვა განმცხადებლის უფლება - არ დაიდანაშაულოს საკუთარი თავი. სასამართლომ არ ჩათვალა საჭიროდ დაედგინა, აბსოლუტურია თუ არა ეს უფლება და შესაძლებელია თუ არა

გარკვეულ შემთხვევებში ამ უფლების შეზღუდვა და საკითხი ღიად დატოვა.

საკუთარი თვის წინააღმდეგ ჩვენების არ მიცემის უფლება, არ აჩერებს სამართალდამცავ ორგანოებს კონკრეტული ინფორმაციის მოპოვებისგან, თუმცა ეს უფლება ბრალდებულის მიერ შეიძლება გამოყენებული იყოს სამართალწარმოებისას მტკიცებულების ასარიდებლად, რაც შესაბამისად არ გამოიწვევს მე-6 მუხლის დარღვევას

Aleksander Zaichenko v. Russia/ზაიჩენკო რუსეთის წინააღმდეგ (28.06.2010, N:39660/02)

განმცხადებელი საკუთარ სახლში მიდიოდა, როდესაც იგი გააჩერეს პოლიციელებმა. პოლიციელები იძიებდნენ საქმეს, საქმეს მისი თანამშრომლის მიერ საწვავის ქურდობასთან დაკავშირებით. ამ საქმის მთავარი საინტერესო ელემენტი არის ის, რომ პოლიციელებმა იგი დაკითხეს ყველანაირი გაფრთხილების შესახებ და არც არანაირი ინფორმაცია მიუწოდებიათ მის უფლებებთან დაკავშირებით. მან ხელი მოაწერა ოქმს, სადაც იგი ადასტურებდა, რომ საწვავი სამსახურებრივი მანქანიდან მან აიღო. სასამართლომ იგი დამნაშავედ ცნო და გადაწყვეტილება დააფუძნა განმცხადებლის მიერ მიცემულ ინფორმაციას, რომელიც მან პოლიციელებს მისცა მისთვის საკუთარი თავის წინააღმდეგ ინფორმაციის მიცემაზე უარის თქმის უფლების შესახებ ინფორმაციის მიწოდების გარეშე. სასამართლომ ჩათვალა, რომ მართლმსაჯულება არასათანადოდ განხორციელდა, ვინაიდან განმცხადებელმა განიცადა ზეწოლა სახელმწიფო ორგანოს წარმომადგენლებისგან. სახელმწიფო ორგანოები უნდა ეცადონ მათი პოზიციის დამტკიცებას ისეთი მტკიცებულებებით, რომლებიც მოპოვებულია ძალადობისა და ზეწოლის გარეშე.

Allan v. U.K./ალანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (5.11.2002, N: 48539/99)

საქმე ეხება სახელმწიფო ორგანოების მხრიდან ბრალდებულის დუმილის უფლებაში ჩარევას. პოლიციის ინფორმატორი მოათავსეს ბრალდებულთან, რომლის მიზანიც იყო იმ ინფორმაციის მოპოვება, რომლის მიწოდებაზეც ბრალდებულმა დაკითხვისას უარი განაცხადა. სასამართლომ ჩათვალა, რომ განმცხადებლის მიერ ინფორმაციის მიწოდება არ იყო სპონტანური და უცაბედი, იგი შედეგი იყო ინფორმატორის დაჟინებული კითხვებისა. მიუხედავად იმისა, რომ ადგილი არ ჰქონდა პირდაპირ იძულებას, სასამართლომ ჩათვალა, რომ განმცხადებელი იყო არაპირდაპირი, ფსიქოლოგიური ზეწოლის მსხვერპლი, რამაც უბიძგა მას ინფორმაციის გამხელისკენ. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა განმცხადებლის დუმილის უფლების დარღვევას, ვინაიდან ამ გზით მოპოვებული ინფორმაცია საქმეს დაერთო სასამართლო განხილვისას.

J.B. v. Switzerland/ჯ.ბ. შვეიცარიის წინააღმდეგ (03.05.2001, 31827/96)

მოცემულ საქმეზე განმცხადებელი რამდენჯერმე დააჯარიმეს მისი შემოსავლის შესახებ ინფორმაციის წარუდგენლობის გამო, რასაც შესაძლოა მოჰყოლოდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. სასამართლომ ამ საქმესთან დაკავშირებით ჩათვალა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლი და დაადგინა, რომ საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება მაშინაც მოქმედებს, თუ სავარაუდო იძულების შედეგად მიღებული ინფორმაცია არც იქნება გამოყენებული სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოებისას.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოები, ცდილობენ მაქსიმალურად გაითვალისწინონ კონვენციით დაცული ადამიანის უფლებები და მათ დაცვასთან დაკავშირებული ის სტანდარტები, რომლებიც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ არის დადგენილი და გადმოცემული მის გადაწყვეტილებებში.

აღსანიშნავია, რომ სასამართლო იხილავს საქმეებს, რომლებშიც ერთ-ერთ მხარეს ყოველთვის წარმოადგენს კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფო

და სასამართლო საკუთარ გადაწყვეტილებებში ყოველთის ცდილობს გაითვალისწინოს საქმეში მონაწილე სახელმწიფოს ინდივიდუალური, სპეციფიკური გარემოებები.

სახელმწიფოები, კონკრეტულ პრაქტიკაზე საუბრისას, თუ როგორ ხდება გარკვეული მოქმედება, ხშირად იშველიებენ კონვენციის სხვა ხელშემკვრელი მხარეების გამოცდილებასა და პრაქტიკას, როგორც ეს ჯალოს⁴⁶ საქმეში მოხდა, სადაც გერმანიის წარმომადგენლებმა წარმოადგინეს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ იყენებდნენ სხვა სახელმწიფოები ამოსაღებინებელ საშუალებებს მტკიცებულებათა მოსაპოვებლად, თუმცა მათი რიცხვი გაცილებით ნაკლები იყო იმ სახელმწიფოთა რიცხვზე, რომლებიც თავს იკავებდნენ ასეთი საშუალებების გამოყენებისგან, რაზეც სასამართლომ გადაწყვეტილებაშიც გაამახვილა ყურადღება.

ნაშრომში მოყვანილი მაგალითებიდან და მითითებული სასამართლო გადაწყვეტილებებიდან ჩანს, თუ როგორ უნდა მოქმედებდნენ და იქცეოდნენ სახელმწიფო ორგანოები კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოებში და რა ერთიანი სტანდარტებია დადგენილი მათთვის.

ეს ყველაფერი განპირობებულია იმით, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები თავისი შინაარსით, ვრცელდება ყველა ხელშემკვრელ სახელმწიფოზე და განუმარტავს მათ, თუ როგორ უნდა იმოქმედონ, რათა არ დაარღვიონ კონვენცია.

5.2 ა.შ.შ.-ის სასამართლო, საპროცესო და საგამოძიებო მოქმედებათა პრაქტიკა

Rochin v. California/როჩინი კალიფორნიის წინააღმდეგ (342 U.S. 165, 02.01.1952)

⁴⁶ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: Jalloh v. Germany. საქმე N:54810/00;

საქმის გარემოებები: სახელმწიფო ორგანოს წარმომადგენლები ჩხრეკის ნებართვის გარეშე შევიდნენ როჩინის სახლში და ძალის გამოყენებით შეიჭრნენ მის ოთახში. ოთახში შესვლისას მათ იქვე არსებულ სტენდზე შეამჩნიეს ორი კაფსულა, რომლებიც როჩინიმ სასწრაფოდ გადაყლაპა მას შემდეგ, როდესაც სახელმწიფო ორგანოს წარმომადგენელმა ჰკითხა, თუ ვის ეკუთვნოდა ეს კაფსულები, რის შემდეგაც პოლიციელი სასწრაფოდ ეცა მას, კისერში ხელი წაავლო და პირში ხელი ძალის გამოყენებით ჩაუყო, რისი საშუალებითაც იგი ცდილობდა კაფსულების ამოღებას. ვინაიდან კაფსულების როჩინის პირიდან ამოღების მცდელობა უშედეგოდ დასრულდა, როჩინი წაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც იგი დააბეს საწოლზე და პირის ღრუდან შეუყვანეს მილი, რომლის საშუალებითაც მის სხეულში შეიყვანეს ღებინების გამომწვევი ნივთიერება, რის შედეგადაც მან ამოაღებინა გადაყლაპული კაფსულები. ტესტის შედეგად დადგინდა, რომ კაფსულებში არსებული ნივთიერება იყო მორფი. მოპოვებული მტკიცებულება როჩინის წინააღმდეგ იქნა გამოყენებული სასამართლო პროცესზე და იგი დამნაშავედ იქნა ცნობილი მორფის უკანონო ფლობისთვის.

რთული შესამჩნევი არ არის, რომ ეს საქმე ძალიან ჰგავს ჯალოს საქმეს, თუმცა საინტერესოა, თუ რა გადაწყვეტილება მიიღო და როგორ დაასაბუთა ეს გადაწყვეტილება საქმის განმხილველმა სასამართლომ.

ვიდრე საქმე უზენაეს სასამართლომდე მიაღწევდა, შტატის სასამართლომ განაცხადა, რომ მიუხედავად მტკიცებულების მოპოვების გზისა, ასეთი მტკიცებულების გამოყენებას არ კრძალავდა შტატის კანონი.

უზენაესმა სასამართლომ კი გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ მტკიცებულების მოპოვებისას გამოყენებული იყო შემზარავი სისასტიკე, რომელიც აშკარად არღვევს სამართლიანი განხილვის უფლებას.

სასამართლომ ასევე არნიშნა, რომ „სამართლიანი განხილვის“ უფლება არსებობს იმისთვის, რათა მან უზრუნველყოს სისტემის სამართლიანობა და

მთლიანობა, და რომ საზოგადოება მოსამართლეებისგან მოელის მათგან სოციალური კონტექსტის გათვალისწინებასა და ნეიტრალურობას.

ა.შ.შ.-ის სასამართლოებმა არაერთხელ დაადგინეს დარღვევები ისეთ საქმეებში, სადაც ბრალდებულებისგან ძალის გამოყენებით მოხდა მტკიცებულებების მოპოვება. ა.შ.შ.-ის, კალიფორნიის შტატის უზენაესმა სასამართლომ, ერთ-ერთ საქმეზე⁴⁷, სადაც ბრალდებულისგან იძულებით ამოიღეს ნარკოტიკები, დაადგინა: „გარდა იმისა, რომ უნდა არსებობდეს უბრალო აღბათობაზე მაღალი ხარისხი, რომ მტკიცებულება მოპოვებული იქნება ჩარევის შედეგად, ასევე უნდა არსებობდეს საჭიროება ბრალდებულის მტკიცებულების განადგურებისგან შეჩერებისა.“ მხოლოდ ამაზე დაყრდნობითაც შეიძლება ითქვას, ამ გადაწყვეტილებით ფაქტობრივად სასამართლომ აღნიშნა, რომ ისეთი ჩარევისთვის, როგორც პირისთვის იძულებით ამოსაღებინებელი საშუალებების მიცემაა, უნდა არსებობდეს დასაბუთებულ ვარაუდზე მაღალი სტანდარტი. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ასეთი ქმედების გამართლება მაშინ შეიძლება, როდესაც არსებობს საშიშროება, მოცემული საქმის შემთხვევაში, რომ პირის სხეულში არსებული ნარკოტიკის შემცველი პაკეტები გაიხსნება და პირის ჯანმრთელობას სერიოზულ რისკს შეუქმნის. ამ დროს შეიძლება უკვე იმაზე მსჯელობაც, რომ ადამიანის სხეულში ნარკოტიკის შემცველი პაკეტის გახსნის შემთხვევაში შეიძლება ნარკოტიკი ადამიანის სხეულში დაიშალოს, სხეულმა აითვისოს იგი და მტკიცებულება ფაქტობრივად დაიკარგოს. ბოლოს ხსენებული არგუმენტი დიდად სადავოა, ვინაიდან თანამედროვე ტექნოლოგიური და სამედიცინო მიღწევების პირობებში ასეთი შემთხვევისას, მტკიცებულების მოპოვება მარტივი იქნება. სასამართლო ამით აღნიშნავს, რომ არ უნდა მოხდეს მსგავსი ჩარევა, როდესაც ამის საჭიროება არ არსებობს, და პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს შეზღუდვის ყველაზე მსუბუქ ალტერნატივას.

⁴⁷ იხ. ა.შ.შ. კალიფორნიის შტატის უზენაესი სასამართლოს 1977 გადაწყვეტილება საქმეზე: People v. Bracamonte, ხელმისაწვდომია ვებ-მისამართზე: <https://law.justia.com/cases/california/supreme-court/3d/15/394.html>

საქმეში უინსტონი ლის წინააღმდეგ,⁴⁸ სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფო ორგანოებმა ვერ წარმოადგინეს დამაჯერებელი არგუმენტი იმის დასადასტურებლად, რომ აუცილებელი იყო ბრალდებულის სხეულიდან ტყვიის ამოღება, რომელიც მას სხვა პირზე თავდასხმისას, თავისივე მსხვერპლისგან მოხვდა და მას დანაშაულში ამხელდა. მას შემდეგ, რაც დაცვის მხარემ წარმოადგინა მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებდნენ, რომ ტყვიის სხეულიდან ამოღებას იმაზე სერიოზული შედეგები მოჰყვებოდა ჯანმრთელობისთვის, ვიდრე სასამართლოს ეგონა, სასამართლომ არ მისცა სახელმწიფო ორგანოს სამედიცინო ჩარევის ნებართვა. ვინაიდან არ დადგინდა ტყვიის ამოღების საჭიროება, სასამართლომ ჩათვალა, რომ ბრალდებულის პირადი ცხოვრებისა დაცულობისა და ხელშეუხებლობის უფლებები უფრო წონადი იყო და ჩარევა იქნებოდა გაუმართლებელი. ამ საქმეზე, მის თანმხვედრ აზრში, მოსამართლე უარენ ბურგერმა აღნიშნა, რომ ეს გადაწყვეტილება არ უნდა გაგებულყო ისე, თითქოს ეს უკრძალავდა სამართალდამცავებს პირების დაკავებას, რომელთა სხეულიც ბუნებრივად გამოავლენდა იმ მტკიცებულებას, რომლის არსებობის ეჭვის საფუძველზეც დააკავეს ისინი.

ა.შ.შ.-ის სასამართლო პრაქტიკაში არსებული გადაწყვეტილებები,⁴⁹ აყალიბებენ გარკვეულ სტანდარტებსა და პრაქტიკას გარკვეულ საკითხებთან მიმართებით, მაგალითად: როდესაც ადგილი აქვს პირის დაკავებას ავტომობილის მართვისას, მისი სიფხიზლის შესამოწმებლად, მიღებული პრაქტიკაა მათგან ალკოტესტზე უარის შემთხვევაში, სისხლის ნიმუშის აღება და ანალიზის გაკეთება, რაც თავისთვად გადაუდებელი აუცილებლობით ტარდება, ვინაიდან სისხლში ალკოჰოლის დონე

⁴⁸ იხ. ა.შ.შ.-ის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება 1985 წლის საქმეზე, *Winston v. Lee*, N:83-1334, ხელმისაწვდომია ვებ-მისამართზე:

<https://www.courtlistener.com/opinion/111380/winston-v-lee/>

⁴⁹ მაგალითებისთვის იხ. ა.შ.შ.-ის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: *Breithaupt v. Abram*, 352 U.S. 432 (1957), *Missouri v. McNeely* - 569 U.S. 141, 133 S. Ct. 1552 (2013); U.S. Supreme Court

South Dakota v. Neville, 459 U.S. 553 (1983); ხელმისაწვდომია ვებ-მისამართზე: <https://supreme.justia.com/>

შეიძლება დაეცეს და ვერ მოხდეს მტკიცებულების მოპოვება. ხშირ შემთხვევაში მათ უფლებაში ჩარევის „მსხვერპლნი“ ხშირად ჩივიან და მიუთითებენ, რომ ჩარევა არაკანონიერია და ირღვევა ისეთი უფლებები, როგორცაა სამართლიანი სასამართლოს უფლება და სხვა. ა.შ.შ.-ის ერთიანი მიდგომა ასეთ საქმეებთან არის ის, რომ სახელმწიფო ორგანოს წარმომადგენლებს ყოველთვის შეუძლიათ ასეთი ჩარევა მაშინ, როდესაც ასეთი ჩარევა გამართლებულია გარემოებებით და არ არის საჭირო ბრალდებულისგან თანხმობა. მაშინაც კი, როდესაც სასამართლოს ნებართვით ხდება სამედიცინო ჩარევა მტკიცებულების მოპოვების მიზნით, სასამართლოც ვალდებულია შეაფასოს გარემოებები და დარწმუნდეს, რომ ბრალდებულის ჯანმრთელობას არ ემუქრება ისეთი საშიშროება, რომელიც დამნაშავეს მსჯავრდების საჯარო ინტერესს გადაწონის. ანუ როგორც ზემოხსენებულ „უინსტონი ლის წინააღმდეგ“ საქმეში იყო აღნიშნული.

ა.შ.შ.-ის უზენაესმა სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში⁵⁰ ქაფი მერფის წინააღმდეგ დაადგინა, რომ სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლებს აქვთ უფლება, ჩაატარონ შეზღუდული ჩხრეკა პირის მიმართ, როდესაც ისინი ფიქრობენ, რომ მან შეიძლება გაანადგუროს მტკიცებულება, თუმცა ეს ჩხრეკა გამართლებულია მაშინ, როდესაც იგი ემსახურება მხოლოდ და მხოლოდ მტკიცებულების მოპოვებისა და გადარჩენის ინტერესებს. ამ საქმეში, პოლიციის ოფიცერმა, თავისი ყოფილი ცოლის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით, დაკითხვაზე დაბარებული მერფის თითებზე შავი ლაქა შენიშნა. იმ ეჭვის საფუძველზე, რომ ეს ლაქა შეიძლებოდა მსხვერპლის სისხლი ყოფილიყო, მერფისგან მისი ნების საწინააღმდეგოდ აიღეს ნიმუშები, რომლებიც შემდეგ მის წინააღმდეგ იქნა გამოყენებული.

⁵⁰ იხ. ა.შ.შ.-ის უზენაესე სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: *Cupp v. Murphy*, 412 U.S. 291, 93 S. Ct. 2000 (1973), ხელმისაწვდომია ვებ-მისამართზე: <https://caselaw.findlaw.com/us-supreme-court/412/291.htm>

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ნაშრომი პასუხს სცემს იმ კითხვებს, რომლებიც შესავალში იქნა წარმოდგენილი. ბრალდებულის ნების საწინააღმდეგოდ მტკიცებულებების მოპოვებას მუდამ თან ახლავს მის კონსტიტუციით, სხვადასხვა კანონებითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ უფლებებში ჩარევა და შეზღუდვა, რაც დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩარევა და შეზღუდვა გათვალისწინებულია ასევე კანონით და კანონითვეა გათვალისწინებული ჩარევის სახეები და ფარგლები, ხოლო ყველა სხვა სახის ჩარევა. სასამართლომ ადამიანის უფლებებში ყოველი ჩარევა ინდივიდუალურად უნდა შეაფასოს იმ სტანდარტებისა და წესების დაცვით, რომლებიც კანონით არის გათვალისწინებული. თავად ბრალდებულის ნების საწინააღმდეგოდ მოპოვებული მტკიცებულების ბედი, მისი დასაშვებობისა და გამოყენებადობის კონტექსტში, უნდა შეაფასონ ეროვნულმა სასამართლოებმა, ვინაიდან ისინი უკეთეს პოზიციაში იმყოფებიან, ჩვენთვის საყურადღებო შემთხვევაში, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსთან შედარებით, ვინაიდან მათ უკეთესად შეუძლიათ განმარტონ იმ სახელმწიფოს კანონები სადაც ისინი ახორციელებენ მათთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას, შესაბამისად ისინი უკეთეს პოზიციაში არიან შეაფასონ გარემოებები და მტკიცებულებები იმ საქმეებთან დაკავშირებით, რომლებიც მათ სამოქმედო ტერიტორიაზე განხორციელდა.

ბრალდებულს ვერ მოვთხოვთ მოგვაწოდოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც მის წინააღმდეგ იქნება გამოყენებული და ვერ ვაიძულებთ მას წვლილი შეიტანოს საკუთარ მსჯავრდებაში. მიუხედავად იმისა, რომ კანონი უშვებს ბრალდებულის უფლებებში ჩარევას და მისი ნების საწინააღმდეგოდ მტკიცებულებების მოპოვებას, ეს ჩარევა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ ინფორმაციის მოსაპოვებლად, რომელიც არსებობს ბრალდებულის ნებისგან დამოუკიდებლად. ბრალდებულს ვერ მოვთხოვთ

გვითხრას, თუ სად ინახავს ინფორმაციის შემცველ იმ ობიექტს, რომელსაც მტკიცებულებითი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს და წვლილს შეიტანს მის მსჯავრდებაში, მაგრამ ასეთი ობიექტის ადგილმდებარეობის ცოდნის შემთხვევაში, სახელმწიფო ორგანოებს აქვთ უფლება ბრალდებულის ნების მიუხედავად, თუნდაც იძულების გამოყენებით, მოიპოვონ იგი, მთავარია ამ იძულების ღონისძიების გამოყენება არ გადაიზარდოს კანონდარღვევასა და გაუმართლებელ ჩარევაში.

რაც შეეხება ბრალდებულისგან მიღებულ ინფორმაციას, ასეთი ინფორმაციის მიღება უნდა ემყარებოდეს ბრალდებულის ნებას. არ შეიძლება ბრალდებულის მიერ საკუთარი სურვილით მოწოდებული ინფორმაციის გამოყენებაც, თუ იგი შემდგომ უარს ამბობს ამ ინფორმაციის გამოყენებაზე, ვინაიდან ბრალდებულის მიერ სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე მიცემული ინფორმაციის გამოკვლევა და გამოყენება ბრალდებულის ნებაზე დამოკიდებული და მცდარი ინფორმაციის მიწოდებაც კი ვერ ჩაითვლება მისი ბრალეულობის დამადასტურებელ გარემოებას. აღსანიშნავია, რომ ბრალდებულის მიერ საკუთარი ნებით მიწოდებული ინფორმაცია მაშინაც ვერ იქნება გამოყენებული, როდესაც ეს ინფორმაცია მიღებულია ბრალდებულის მოტყუებით, მისთვის მის უფლებებზე რელევანტური ინფორმაციის მიუწოდებლობით ან მის ნებაზე სხვა, თუნდაც არაპირდაპირი, ირიბი ზემოქმედებით. შესაბამისად ნათელია, რომ თუ ბრალდებულს არ სურს, დაუსებელია მისი იძულება მოგვაწოდოს მხოლოდ მის ნებაზე დამოკიდებული ის ინფორმაცია, რომელიც დამოუკიდებლად არ არსებობს მისი ნების გარეშე. მართალია ბრალდებულს ვერ დავავალდებულებთ, წვლილი შეიტანოს საკუთარ მსჯავრდებაში, მაგრამ მან უნდა ითმინოს მის მიმართ განხორციელებული ისეთი კანონიერი ღონისძიების განხორციელება, რომელიც მას ამხელს დანაშაულში.

დაუშვებელია პირის უფლებების ისეთი დარღვევა, რომელიც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს საერთოდ სამართლიანობის საკითხს. დაუშვებელია

ადამიანის წამება და ამის საჯარო ან სხვა ინტერესით გამართლება, წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც ამერიკის უზენაესი სასამართლოს ყოფილმა მოსამართლემ, ფელიქს ფრანკფურტერმა აღნიშნა სასამართლო გადაწყვეტილებაში, როგინი კალიფორნიის წინააღმდეგ, ასეთი ქმედებების შემდეგ და საფუძველზე, “სამართალწარმოება, რომლის შედეგადაც შესაბამისი მსჯავრდება განხორციელდება, მეტი რომ არ შეიძლება ისე შეურაცხყოფს დანაშაულის წინააღმდეგ საფუძვლიან ბრძოლასთან დაკავშირებულ ზიზღისადმი მგრძნობელობას და პირად სენტიმენტებს”. ეტი რომ არ შეიძლება ეტი რომ არ შეიძლება ისე შეურაცხყოფს დანაშაულის წინააღმდეგ საფუძვლიან ბრძოლასთან დაკავშირებულ ზიზღისადმი მგრძნობელობას და პირად სენტიმენტებს”.

ბიბლიოგრაფია

ქართული

ლ. ფაფიაშვილი, გ. თუმანიშვილი, დ. კვაჭანტირაძე, ლ. ლიპარტელიანი, გ. დადეშქელიანი, შ. გუნცაძე, ნ. მეზერიშვილი, ლ. თოლორაია, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2015;

შტეფან ტრექსელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართალში, 2009;

გ. თუმანიშვილი, სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, 2014;

ინგლისური

Jeremy McBride, Human rights and criminal procedure, The case law of the European Court of Human Rights, 2009

სტატიები

ლ. მაღლაკელიძე, ბრალდებულის შეცდომაში შეყვანის გზით მოპოვებული ინფორმაცია და თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგია ქართული და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ელექტრონული ჟურნალი, მესამე გამოცემა. 2018 წ.;

გ. თუმანიშვილი, ბრალდებულის პირადი ჩხრეკა, მისი სხეულიდან ნიმუშის აღება და თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგია, წიგნში: გურამ ნაჭყებია-75, საიუბილეო კრებული, 2016 წ.;

ნორმატიული მასალა

საქართველოს კონსტიტუცია

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი

American Convention on Human Rights (Pact of San Jose)

სასამართლო გადაწყვეტილებები

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო:

Jalloh v. Germany (54810/00 – 11.7.2006)
Saunders v. U.K. (43/1994/490/572 – 17.12.1996)
O'halloran & Francis v. U.K. (15809/02 & 25624/02 - 29.06.2007)
Gäfgen v. Germany (22978/05 – 01.06.2010)
Funke v. France (10828/84 - 25.02.1993)
Price v. the United Kingdom, no. 33394/96
Mouisel v. France, no. 67263/01
Naumenko v. Ukraine, no. 42023/98
Allenet de Ribemont v. France (07.08.1996,15175/89)
Hentrich v. France , (22.09.1994, 13616/88)
Hurtado v. Switzerland, 28.01.1994
Khan v. the United Kingdom, 35394/97
Schenk v. Switzerland, (10862/84- 12.07.1988)
Salabiaku v France (1991) 13 EHRR 379 88/12
Teixeira de Castro v. Portugal, (44/1997/828/1034- 09.06.1998)
Deweert v. Belgium, (27.02.1980, 6903/75)
Allan v. the United Kingdom, 48539/99
Heaney and McGuinness v. Ireland, no. 34720/97
Bykov v. Russia, (4378/02-10.03.2009)
Aleksandr Zaichenko v. Russia, (39660/02-18.02.2010)
Hurtado v. Switzerland, 28.01.1994
Khan v. the United Kingdom, 35394/97
Schenk v. Switzerland, (10862/84- 12.07.1988)
Teixeira de Castro v. Portugal, (44/1997/828/1034- 09.06.1998)
P.G. and J.H. v. the United Kingdom, 44787/98
Allan v. the United Kingdom, 48539/99
J.B v. Switzerland (03.05.2001, 31827/96)
Heaney and McGuinness v. Ireland, no. 34720/97
Bykov v. Russia, (4378/02-10.03.2009)
Aleksandr Zaichenko v. Russia, (39660/02-18.02.2010)

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები ხელმისაწვდომია
ვებ-გვერდზე: www.hudoc.echr.coe.int

ა.შ.შ.-ის სასამართლოთა გადაწყვეტილებები:

Schmerber v. California, 384 US 757 (1966), 86 S.Ct. 1826, 16 L.Ed.2d 908

Rochin v. California, 342 U.S. 165 (1952)

People v. Bracamonte 18446, 07.10.1975

Breithaupt v. Abram, 352 U.S. 432 (1957)

Missouri v. McNeely, 569 U.S. 141 (2013)

Winston v. Lee, 470 U.S. 753 (1985)

South Dakota v. Neville, 459 U.S. 553 (1983)

Cupp v. Murphy, 412 U.S. 291 (1973)

საქართველოს სასამართლო პრაქტიკა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14
დეკემბრის N:1/4/809 გადაწყვეტილება

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის
N:2/2/579 გადაწყვეტილება

თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებები:

2018 წლის 9 იანვრის განჩინება N105/18 საქმეზე

2018 წლის 5 თებერვლის განჩინება N725/18 საქმეზე

2018 წლის 16 აპრილის განჩინება N2217/18 საქმეზე

ვებ-გვერდების მისამართები

ნაშრომში მითითებული ყველა ვებ-მისამართი უკანასკნელად
გადამოწმდა 2020 წლის 28 აგვისტოს.

www.dgstz.de

www.lawlibrary.info

www.matsne.gov.ge

www.hudoc.echr.coe.int

www.constcourt.ge

www.law.cornell.edu

www.law.justia.com

www.courtlistener.com

www.supreme.justia.com

www.caselaw.findlaw.com